



**III ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო-
პრაქტიკული ინტერდისციპლინური
კონფერენცია**

ქ. თბილისი, 28 მაისი, 2022

**3RD ONLINE INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL
INTERDISCIPLINARY CONFERENCE**

Tbilisi. May 28, 2022

მასალები

Materials

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის III ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერდისციპლინური კონფერენციის მასალები

კრებულში გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. ამასთან, მისი პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კრებულის სარედაქციო კოლეგიის მოსაზრებებს.

აკრძალულია კრებულში გამოქვეყნებული მასალების გამრავლება და გავრცელება კომერციული მიზნებისათვის.

Collected Papers of Tbilisi Humanitarian University 3rd Online International Scientific-Practical Interdisciplinary Conference's materials

Current issues of socio-economic, financial, international relations, tourism, law, healthcare and ecology are published in the journal.

Each author is responsible for the accuracy of the article in this journal. His/her position may not coincide with the opinions of the editorial board.

Reproduction on distribution of the materials published in this journal for commercial purposes is strictly prohibited.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

თამარ ქავჭავაძე

მასალები დაბეჭდა ინტერნეტით ოთახ ადამაშვიდმა

0144, თბილისი, ბეჩი გაბხიეღ საღოსის გამზიხი №31 (ყოფიდი ჩოღოყაშვიდის 53) © თბიღისის ჰუმანიტაიური სასწავლო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-8-4603-8

ვადენტონა საყვარელიძე

დოქტორი, პროფესორი,
თბილისის ჰუმანიტარული
სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი

იღონა საყვარელიძე

დოქტორი, პროფესორი,
თბილისის ჰუმანიტარული
სასწავლო უნივერსიტეტი

მარინა შავდაყაძე

დოქტორი, ასოც. პროფესორი
კვლევებისა და განვითარების
ცენტრის ხელმძღვანელი,
თბილისის ჰუმანიტარული
სასწავლო უნივერსიტეტი

მაია მელაძე

ასოც. პროფესორი,
გრიგოლ რობაქიძის
უნივერსიტეტი; უფროსი
სპეციალისტი,
თბილისის ჰუმანიტარული
სასწავლო უნივერსიტეტი;

ლია ჟილაშვილი

დოქტორი, პროფესორი,
თბილისის ჰუმანიტარული
სასწავლო უნივერსიტეტი

ნონა გელითაშვილი

დოქტორი, პროფესორი,
თბილისის ჰუმანიტარული
სასწავლო უნივერსიტეტი

ირინე არაქვანიძე

დოქტორი, პროფესორი,
თბილისის ჰუმანიტარული
სასწავლო უნივერსიტეტი

ნინო აბაიშვილი

დოქტორი, ასოც. პროფესორი,
თბილისის ჰუმანიტარული
სასწავლო უნივერსიტეტი

ზურაბ ბარათაშვილი

დოქტორი,
საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია

ჯარჯი ვიბერი

დოქტორი, პროფესორი,
ვროცლავის გარემოსდაცვისა
და სიცოცხლის შემსწავლელ
მეცნიერებათა უნივერსიტეტი,
ნიადაგმცოდნეობის, მცენარეთა
კვებისა და გარემოს დაცვის
ინსტიტუტი

ირინე პიაშვიკა

დოქტორი, პროფესორი,
ვროცლავის გარემოსდაცვისა
და სიცოცხლის შემსწავლელ
მეცნიერებათა უნივერსიტეტი,
ნიადაგმცოდნეობის, მცენარეთა
კვებისა და გარემოს დაცვის
ინსტიტუტი

CONFERENCE ORGANIZING COMMITTEE

VALENTINA SAKVARELIDZE

Professor, Doctor, Rector Tbilisi
Humanitarian Teaching University

MARINE SHAVLAKADZE

Assoc. Professor, Doctor, The head of
the research and development center
at the Tbilisi Humanitarian Teaching
University

MAIA MELADZE

Assoc. Professor, Grigol Robakidze
University; Senior specialist of the
research and development center
at the Tbilisi Humanitarian Teaching
University

LIA CHIGHLASHVILI

Professor, Doctor, Tbilisi
Humanitarian Teaching University

ILONA SAKVARELIDZE

Professor, Doctor, Tbilisi
Humanitarian Teaching University

NONA GELITASHVILI

Professor, Doctor, Tbilisi
Humanitarian Teaching University

IRINE ARJEVANIDZE

Professor, Doctor, Tbilisi
Humanitarian Teaching University

NINO ABAISHVILI

Assoc. Professor, Doctor, Tbilisi
Humanitarian Teaching University

ZURAB BARATASHVILI

Doctor, Georgian National Academy
of Sciences

JERZY WEBER

Professor, Doctor, Wroclaw University
of Environmental and Life Sciences,
Institute of Soil Science, Plant
Nutrition and Environmental
Protection.

IRMINA ĆWIELAĞ-PIASECKA

Professor, Doctor, Wroclaw University
of Environmental and Life Sciences

სარჩევი

ჰუმანიტარული მეცნიერებები

უცხო ენის სწავლებისას სანიფორმაციო საკომუნიკაციო თექნოლოგიების გამოყენება, როგორც მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების საშუალება.....	10
ირინე არჯევანიძე	
სტილისტიკის მიზანი	12
ეკატერინე მარუაშვილი	
ომონიშია – საკლასიფიკაციო კრიტერიუმები და კოლინეფიისგან გამიჯვნის მეთოდები	13
ირაკლი სალია	
შემათება-კლავის მეთოდი თ. ს. ელიოტის კომედიის ქართულ თარგმანებში	14
მანანა მათიაშვილი	
გრიგოლ ორბელიანის ერთი ლექსის გამო.....	16
გურამ ბახტაძე	
დერივაციული კომბინაციები ქართულში.....	18
ჭაბუკი ქირია	

სოციალური მეცნიერებები

სოციალური კონფლიქტები და მისი აღმოფხვრა თანამედროვეობაში	19
ჯილდა ხუბულია	
ინევი სალიტერატურო ქართული ენისთვის.....	21
თეკლა თოთლაძე, ხელმძღვანელი – თამარ გოგოლაძე	
გაკვეთილის მოსალოდნელი შედეგების განხორციელება	23
ეკატერინე ვანაძე	
გლობალიზაცია და მისი გავლენა განათლებაზე	24
მაია ალაია	
1937 წლის რეპრესიები და დახვრებილი ინტელიგენცია	26
ნონა ამბოკაძე	
ფსიქოთერაპიული კვლევები საქართველოში	28
მაია კალანდარიშვილი	
თვითთავაქმურობის, ცხოვრების საზრისისა და სიტუაციური შფოთვის ურთიერთმიმართება, გლობალურ სტრესთან გამკლავების დროს	30
მედეა ბარბარიანი, ია შეყრილაძე	
თვითსტიგმის შესწავლა ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანებში.....	32
ეკატერინე ვეშაპიძე, ია შეყრილაძე	

ეკონომიკა, ბიზნესი და ტურიზმი

ინოვაციური ციფრული კლასტორები ბიზნესში.....	33
ირინა ბენია	
საქართველოში მოგზაური საგანმანათლებლო ტურისტების მოტივაციები	43
ანა გვარამაძე	
ღვინის წარმოების განვითარების კარსკეპტივები საქართველოში	44
ირმა მოლაშხია	

სამართლებრივი

სასამართლოს როლი, რეაბილიტაციის რეჟიმის განცხადების წარმოებაში მიღებისას.....	45
მერი კეთილაძე, ხელმძღვანელი – ლია ქილაშვილი	
ალიმენტალურად უკმარისი პირთა უფლება-მოვალეობები და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი	47
ლია ქილაშვილი	
მოქალაქეობის კანონში მოცემულ ზოგიერთ ტერმინთა განმარტების შესახებ.....	48
არჩილ ლორია	
აქტივების აღდგენისა და მოძიების სამართლებრივი პრაქტიკა.....	50
ქრისტინე ცირეკიძე, ხელმძღვანელი – თომას მარია კროსმანი	
ჭარბის, როგორც ალტერნატიული სასჯელის სახის იურიდიული ბუნება ქართულ სისხლის სამართალში.....	51
მარიამ გელაშვილი, ხელმძღვანელი – გია მეფარიშვილი	
„მედია სამართალში პირადი ცხოვრების ხელშეშობის პრობლემატურობა და გამოხატვის თავისუფლების ჩარჩო“.....	52
მანანა ოთარაშვილი	
მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობა და ბარიერები ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში	53
რევაზ ბერულავა, ხელმძღვანელი – ეკა კაველიძე	
ქორწინების ინსტიტუტის განვითარების გზა ქართულ სამართალში.....	55
ნინო მესხი, ლიკა ფირცხალაიშვილი, ხელმძღვანელი – გიორგი დავითაშვილი	
ოჯახური ცხოვრების კატივისცემის უფლების მნიშვნელოვანი საკითხები ევროსასამართლოს პრაქტიკაში	57
ელისაბედ აფაქიძე, ანა ჩხეიძე	

სასამართლო რეფორმების მდგომარეობა საქართველოში - მიღებული გაკვეთილები.....	58
კახა წიქარიშვილი	

სტომატოლოგია, ფარმაცია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კოლხეთის დაბლობი – მაღარის სახლი	60
შორენა კუპრეიშვილი, პაატა სიჭინავა, თამრიკო სუპატაშვილი, გიორგი კუპატაძე, ქეთევან ქუხილავა	
ჰემოფილია და სტომატოლოგია	61
ნინო გოქაძე, ხელმძღვანელი – ი. ხატიაშვილი	
სოიოს ექსტრაქტები სამედიცინო და კოსმეტოლოგიურ პრაქტიკაში	63
მარიამ ლაზარაშვილი, მანანა ორჯონიკიძე	
ცხოველური წარმოშობის ძვალი და მისი უნარჩენო გადამუშავება	70
მარინე შავლაყაძე, თეიმურაზ ქეიშვილი, ნინო აბაიშვილი, დოდო მაღრაძე, რუსუდან დევნოზაშვილი	
საქართველოს რიგი მსხვილი წყალსაცავების ფსკერზე სადიმენტაციური პროცესების დინამიკა და პროგნოზირება	71
ხათუნა კვიციანი	

HUMANITIES, PSYCHOLOGY

USING ICT IN FOREIGN LANGUAGE LESSONS AS A MEANS OF INCREASING STUDENTS' MOTIVATION	72
Irine Arjevanidze	
THE PURPOSE OF STYLISTICS.....	73
Ekaterine Maruashvili	
LINKS BETWEEN SELF-EFFICACY, MEANING OF LIFE, AND STATE ANXIETY WITH COPING DURING THE GLOBAL STRESS.....	74
Medea Barbariani, Ia Shekrladze	
RESEARCH OF SELF-STIGMA AMONG INDIVIDUALS WITH PSYCHOLOGICAL DISORDERS	76
Ekaterine Veshapidze, Ia Shekrladze	

SOCIAL SCIENCES

SOCIAL CONFLICTS AND ITS ELIMINATION IN MODERN TIME.....	76
Jilda Khubulia	
AGAIN FOR THE LITERARY GEORGIAN LANGUAGE	77
Tekla Totladze, Supervisor – Tamar Gogoladze	

HOMONYMY – QUALIFICATION CRITERIA AND METHODS FOR DISTINCTION OF HOMONYMS AND POLYSEMES	80
Irakli Salia	
THE PANDEMIC AND ITS IMPACT ON THE APPROACH TO THE EDUCATION SYSTEM. THROUGH THE STUDENT’S EYES: ANALYSIS OF REALITY	81
Tamara Sajaia, Nato Gegenava	
BRINGING LESSON OUTCOMES TO LIFE.....	82
Ekaterine Vatsadze	
GLOBALIZATION AND ITS IMPACT ON EDUCATION.....	83
Maia Aghaia	
LOSS AND GAIN IN T. S. ELIOT’S GEORGIAN TRANSLATIONS	84
Manana Matiashvili	
THE REPRESSIONS OF 1937 AND THE SHOT OF THE INTELLIGENTSIA.....	86
Nona Ambokadze	
DIVERSION COMBINATIONS IN GEORGIAN.....	87
Chabuki Kiria	
PSYCHOTHERAPEUTIC RESEARCHES IN GEORGIA	88
Maia Kalandarishvili	

ECONOMY, BUSINESS AND TOURISM

LABOR MIGRATION IN EU FOR THIRD-COUNTRY NATIONALS	90
Nona Gelitashvili	
TRAVEL MOTIVATIONS OF EDUCATIONAL TOURISTS ARRIVING IN GEORGIA.....	92
Ana Gvaramadze	
THE FUTURE OF INTELLECTUAL LOGISTICS, THE DIGITAL TRANSFORMATION OF LOGISTICS.....	93
Liana Kanchaveli	
OPPORTUNITIES FOR ECOTOURISM DEVELOPMENT IN KVEMO KARTLI.....	95
Maia Meladze	
INNOVATIVE DIGITAL PLATFORMS IN BUSINESS.....	96
Irina Benia	

LAW

THE ROLE OF THE COURT IN MAKING THE APPLICATION FOR REHABILITATION	97
Meri Ketiladze, Supervisor – Lia Chighlashvili	
RIGHTS AND OBLIGATIONS OF ALIMONY AND ANALYSIS OF JUDICIAL PRACTICES.....	98
Lia Chighlashvili	

INTERNATIONAL PRACTICE OF ASSET TRACING AND RECOVERY	99
Kristine Tsirekidze	
ON THE DEFINITION OF SOME OF THE TERMS GIVEN IN THE CITIZENSHIP LAW.....	100
Archil Loria	
THE IMPORTANCE OF CITIZEN INVOLVEMENT AND BARRIERS IN THE IMPLEMENTATION OF LOCAL SELF-GOVERNMENT	102
Revaz Berulava, Supervisor – Eka Kavelidze	
APPLICATION OF THE INTERNATIONAL LAW OF NAVAL WARFARE: NORMS AND STANDARDS UNDER THE INTERNATIONAL HUMANITARIAN LAW	103
Hasnain Mahmood	
THE WAY OF DEVELOPMENT OF MARRIAGE INSTITUTE IN GEORGIAN LAW	104
(co)authors: Nino Meskhi, Lika Firtskhalashvili, Supervisor – Giorgi Davitashvili	
TITLE OF THE TOPIC: THE LEGAL NATURE OF THE FINE AS AN ALTERNATIVE FORM OF PUNISHMENT IN GEORGIAN CRIMINAL LAW	105
Mariam Gelashvili, Supervisor – Gia Meparishvili	
STATE OF JUDICIAL REFORMS IN GEORGIA – LESSONS LEARNED.....	106
Kakha Tsikarishvili	
THE PROBLEM OF PRIVACY IN MEDIA LAW AND THE FRAMEWORK OF FREEDOM OF EXPRESSION	107
Manana Otarashvili	
IMPORTANT ISSUES OF THE RIGHT TO RESPECT FOR FAMILY LIFE IN THE CASE-LAW OF THE EUROPEAN COURT	108
Elisabed Apakidze, Ana Chkheidze	
DENTISTRY, PHARMACY AND NATURAL SCIENCES	
HEMOPHILIA AND DENTISTRY	109
Nini Gokadze, I. Khatiashvili	
ASSESSMENT OF ECOLOGICAL CONDITION OF RIVER KVIRILA AND ADJACENT TERRITORY	110
Tamriko Supatashvili, Shorena Kupreishvili, Maka Guguchia	
ANIMAL ORIGIN BONE AND ITS WASTE-FREE RECYCLING	112
Marine Shavlakadze, Teimuraz Cheishvili, Nino Abaishvili, Dodo Magradze, Rusudan Devnozashvili	
DYNAMICS AND PREDICTION OF SEDIMENTATION PROCESSES AT THE BOTTOM OF SOME LARGE WATER RESERVOIRS IN GEORGIA.....	113
Khatuna Kiknadze	

ჰუმანიტარული მეცნიეჩებები

უცხო ენის სწავლებისას საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, როგორც მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების საშუალება

ირინე არჰვიანიძე
ფილოლოგიის აკადემიუხი დოქტოხი,
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის პოფესოხი
irinaarj@gmail.com

სტატიაში განვიხილავთ უცხო ენის შესწავლის მოტივაციის ამაღლების საკითხებს. სტატიაში შევეცდებით განვიხილოთ სწავლის მოტივაციის გაზრდის სხვადასხვა გზებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დახმარებით.

ჩვენს რეალობაში, დღესდღეისობით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი სასწავლო პროცესის წარმართვისას, უჭირავს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით, უცხო ენების შესწავლის დროს. არსებული თანამედროვე სასწავლო სახელმძღვანელოები და რესურსები იმგვარადაა აგებული, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ძირითად სასწავლო რესურსად მოიაზრება. ამგვარად, ახალი საშუალებები და რესურსები ხელს უწყობს ინოვაციური სასწავლო მეთოდების დანერგვას საგანმანათლებლო პროცესში.

როგორც აღვნიშნეთ, ელექტრონული რესურსების და საშუალებების გამოყენებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს უცხო ენის სწავლების პროცესში. მათი გამოყენება განათლების პროცესის თანამედროვე მოდელის და ფორმის ძირითადი განმსაზღვრელია. სასწავლო პროცესის მოდერნიზების მცდელობისას, ძირითადი მიზანი შემდეგნაირად განისაზღვრება: განათლების პროცესის მონაწილეების სრული ჩართულობა და წვდომა ელექტრონული საშუალებების მეშვეობით, თანამედროვე სასწავლო რესურსებზე, რაც ზრდის განათლების ხარისხს, ხელმისაწვდომობას. აგრეთვე, ხელს უწყობს

თანამედროვე ადამიანის ადაპტირებას საინფორმაციო-ტექნოლოგიურ სივრცეში, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სტუდენტების მოტივაციის ამაღლებას.

სტატიაში საუბარია უცხოენოვანი სწავლების პროცესში, თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესახებ ლექციის დროს, აღწერილია ლექციის ახლებური კონცეფცია, მაგალითისთვის წარმოდგენილია სხვადასხვა სააუდიტორიო აქტივობები, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების ეფექტურ ორგანიზებას და სტუდენტთა ჩართულობას, ინტერესს და აქტიურობას. აღნიშნული საკითხები კი განსაზღვრავს სასწავლო პროცესისადმი მოტივაციის ზრდის ხარისხს.

უცხო ენების სწავლისას, ვიყენებთ რა თანამედროვე ტექნოლოგიებს, ვეყრდნობით ხუთ ძირითად მიმართულებას. ესენია: მულტიმედიური პროდუქტების და კომპიუტერული სისტემების გამოყენება, მულტიმედიური და საგანმანათლებლო ინდივიდუალური (საკუთარი) პროგრამების შემუშავება, პრეზენტაციების შექმნა, ელექტრონული რესურსების გამოყენება კლასგარეშე აქტივობებში, ინტერნეტის გამოყენება.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლება მასწავლებლის (ლექტორის) შესაძლებლობების არეალს მნიშვნელოვნად აფართოებს, რაც მას ეხმარება შექმნას აუდიტორიაზე, მის ინტერესებზე და საჭიროებებზე მორგებული, ინდივიდუალური სასწავლო დიზაინის მქონე პროგრამა.

საკვანძო სიტყვები: მოტივაცია; სტუდენტები; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინსტრუმენტები, სწავლის მეთოდები

სტილისტიკის მიზანი

ეკატერინე მარუაშვილი

*თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი,
ფილოლოგიის დოქტორი, აფილიჩებული პროფესორი*

შეიძლება ვიკითხოთ, როგორ გაჩნდა სტილისტიკა? და რა კავშირია სტილისტიკასა და ლინგვისტიკას შორის? სტილისტიკა, როგორც აკადემიური სფერო, მეოცე საუკუნის გამოგონებაა. თუმცა, მისი წარმოშობა სათავეს იღებს იმ ეპოქაში, სადაც კონცენტრაცია გაკეთდა ზეპირ გამონათქვამებზე, არისტოტელეს რიტორიკის ეპოქაში. (ნორგარდ, ბუსე და მონტორო, 2010 წ.). მეოცე საუკუნეში, სტილისტიკა ჩამოყალიბდა 1966 წელს, როდესაც როჯერ ფაულერმა გამოაქვეყნა ნიგნი, რომელსაც მან რედაქტირება გაუკეთა, სახელწოდებით ესეები სტილისა და ენის შესახებ. იმ დროს სტილისტიკა განიხილებოდა, როგორც ტექსტზე ფოკუსირებული ახალი კრიტიკის ლოგიკური განხილვა, მაგრამ ის ეწინააღმდეგებოდა ახალი კრიტიკის სკოლას, რადგან მას ეკისრებოდა ტექსტებში ენის ზუსტი და ეფექტური დამუშავება. თუმცა, სტილისტიკაზე გავლენა იქონია ჩეხურ სტრუქტურალიზმამაც. მათ შეასრულეს ბრწყინვალე შრომები პოეზიის ენობრივ ანალიზში. ასე რომ, იგი ხელმძღვანელობდა ამ მოძრაობით და მათი ნამუშევრებით. იმ დროს სტილისტური ნაწარმოები ძირითადად პოეზიას ეძღვნებოდა, ხოლო სტილისტური ორიენტირებული იყო ფონეტიკურ და გრამატიკულ სტრუქტურებზე. იმდროინდელი სტილისტის მიერ შესრულებული ნაწარმოებების შედეგები ადვილად გამოიყენებოდა პოეზიაში. სტილისტიკა ფორმალისტურად იყო ორიენტირებული და დღემდე დამოკიდებულია ლინგვისტურ ნაშრომზე. 1970-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა სურვილი, დაემკვიდრებინა სტილისტური ტექნიკები, რომლებიც გამოყენებული იქნებოდა რომანებში. სურვილი სინქრონიზებული იყო ლინგვისტების ინტერესის ზრდასთან ტექსტუალურობისადმი სენტენციალური სტრუქტურების საწინააღმდეგოდ. რომანისა და დრამის სტილისტური ანალიზი ახლა კარგად არის დამკვიდრებული. დრამისადმი ინტერესი განპირობებული იყო სტილისტიკის ევო-

ლუციით ბოლო წლების განმავლობაში. ლინგვისტურმა ტექნიკამ მოიცვა სასაუბრო ურთიერთქმედების ანალიზი. ინტერესის ორი ძირითადი სფეროა დისკურსის ანალიზი და პრაგმატიკა. (კოილი 1990, 1085). სტილისტიკა იკვლევს შემოქმედებითობას ენის გამოყენებაში. ის აძლიერებს ჩვენს აზროვნებას ენაზე და მის გამოყენებაზე. ამრიგად, სტილისტური პროცესი, ენის გამოყენების შემოქმედების შესწავლა, ავითარებს ჩვენს გაგებას ლიტერატურის შესახებ. (სიმფსონი 2004.) სტილისტიკის მიზანია დააკავშიროს ლინგვისტური ანალიზი ლიტერატურულ კრიტიკასთან. ეს შეიძლება გაკეთდეს ლინგვისტო-ლიტერატურული ინტუციურობის გაფართოებით და კრიტიკოსთა ენობრივი დაკვირვებისა და ცოდნის გაფართოებით. ამდენად, ენათმეცნიერების ყურადღება გამახვილდება იმაზე, თუ როგორ წარმოადგენს ლიტერატურული ტექსტი ენობრივ სისტემას. კრიტიკოსები ასევე განიხილავენ ტექსტის ძირითად მნიშვნელობას.

საკვანძო სიტყვები: სტილისტიკა, ლინგვისტური ანალიზი, ლიტერატურული კრიტიკა

ომონიმია – საკლასიფიკაციო კრიტერიუმები და კოლისემიისგან გამიჯვნის მეთოდები

ირაკლი საღია

*ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების მაგისტრი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის
საღოქგოხო პიოგჩამის VI სემესტრის სტუდენტი*

არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში ომონიმია არაერთგვაროვნადაა დახასიათებული. წყაროების ნაწილი საანალიზო ერთეულებად სიტყვებს მიიჩნევს, ნაწილი – ლექსიკურ ერთეულებს ან ზოგადად ენობრივ ერთეულებს, ნაწილი ბგერით შემადგენლობაზე საუბრობს, სხვები კი წერილობით ფორმებზეც ამახვილებენ ყურა-

დღებას. ამის გამო შეუძლებელია გარკვევა:

- ▲ რა ტიპის ენობრივი ერთეულები შეიძლება მიიჩნეოდეს ომონიმებად;

- ▲ საანალიზო ერთეულების კვალიფიკაციის დროს მხოლოდ წარმოთქმა გასათვალისწინებელი თუ იმავდროულად მათი დაწერილობაც;

- ▲ როგორ უნდა დადგინდეს მნიშვნელობების განსხვავებული წარმოშობა, დამოუკიდებლობა.

კონსენსუსის არარსებობა მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ პრობლემას ქმნის არა მარტო ომონიმის, არამედ პოლისემიის კვალიფიკაციისთვის. თუ არ დადგინდა, როგორ უნდა გაიმიჯნოს დამოუკიდებელი მნიშვნელობები ერთი მნიშვნელობის ვარიანტებისგან, შეუძლებელი იქნება ომონიმისა და პოლისემიის გამიჯვნაც. აქედან გამომდინარე, თუ არ მოიძებნა ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხი, ომონიმის ნებისმიერი ასპექტის კვლევა მოკლებული იქნება ლოგიკურ საფუძველს, არ იქნება სრულფასოვანი და თანმიმდევრული.

მოცემულ ნაშრომში ვაანალიზებთ საკითხის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს, არსებულ თეორიებს, მეთოდებს და გთავაზობთ ჩვენს თვალსაზრისს, რა ენობრივ ერთეულებს უნდა ეწოდოს ომონიმი და როგორ უნდა გაიმიჯნოს ისინი პოლისემებისგან.

საკვანძო სიტყვები: ომონიმების ტიპები, პოლისემია, გამიჯვნის მეთოდები

შემატება-კლების მეთოდი თ. ს. ელიოტის კოეფიციენტის ქართულ თარგმანებში

*მანანა მათიაშვილი
მთაჩმნედი, ფილოლოგიის დოქტორი,
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი*

წერილი ეხება თარგმანის პრაქტიკაში ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო პრობლემას, რომელსაც სათანადო თეორიული ბაზისის

შემუშავება ესაჭიროება. ესაა შემატებისა (ჩანართები) და კლების (ამოკლებები), როგორც მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების მექანიზმის დადგენა და თეორიული განზოგადება.

ეს საკითხი თანამედროვე ქართულ თარგმანმცოდნეობაში ჩვენ დავსვით პირველად 2005 წელს წარმოდგენილ დისერტაციაში, რომელიც ეხებოდა მოდერნისტული პოეზიის თარგმნის თავისებურებებს თ. ს. ელიოტის ოთხი პოემის ზვიად რატიანისეული ქართული თარგმანების მიხედვით.

როგორც სადისერტაციო ნაშრომის დასკვნაში აღინიშნა, დედნისა და თარგმანის დეტალური შედარებისა და ანალიზის საფუძველზე სამიზნე ტექსტში გამოიყო ისეთი მონაკვეთები, რომლებიც განსხვავდება დედნის შესაბამისი მონაკვეთებისგან. განსხვავებას ქმნის, ერთი მხრივ, მცირე რაოდენობის არაადეკვატური და, ამდენად, მიუღებელი დამატებები და, მეორე მხრივ, საკმაო რაოდენობის ლოგიკით იმპლიცირებული სხვადასხვა წარმოშობის არადედნისეული ჩანართები. (ტერმინი ლოგიკით იმპლიცირებული ჩანართი, შემოკლებით ლიჩ ჩვენ მიერ შეიქმნა 2005 წელს თარგმანის ტექსტის კვლევის შედეგად გამოვლენილი არადედნისეული დამატებების აღსანიშნავად, რომლებიც, თეორიულად, მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების რიგს განეკუთვნება).

წარმოდგენილ ნაშრომში კვლევა წარმართა შემატების, როგორც მთარგმნელობითი ტრანსფორმაციის, მოქმედების მექანიზმისა და გამოხატვის ფორმების დასადგენად. შემატება თარგმანის ტექსტში რეალიზდება ლოგიკურად იმპლიცირებული ჩანართების საშუალებით (ლიჩ), რომელიც, თავის მხრივ, სამ ჯგუფად იყოფა: 1. კონტექსტით განპირობებული, 2. ახსნა-განმარტებითი და 3. სინონიმური. სამივე ტიპის შემატებას გააჩნია თარგმნის პროცესში წყარო-ტექსტის განმარტებისა და დაზუსტების პასუხისმგებლობა, ანუ სწორედ ის, რასაც თანამედროვე თარგმანის თეორეტიკოსი, სუზან ბასნეტი, 2006 წელს ასახელებდა, ზოგადად, შემატების, როგორც მთარგმნელობითი პროცედურის, ფუნქციად.

ამგვარად, ჩვენი წვლილი თარგმანის ზემოაღნიშნული პრობლემის თეორიულ დამუშავებაში არის ტერმინ „შემატების“ შემდგომი სემანტიკური და ჰერმენევტიკული დეკონსტრუქცია და მრავალსახეობის გამოვლენა. რაც შეეხება „კლებას“, როგორც დედანში წა-

რმოდგენილი და თარგმანის ტექსტიდან გაუჩინარებული გარკვეული მახასიათებლების, მთარგმნელობით ტრანსფორმაციას, ჩვენ ამ მიზნით კვლევა ჯერ არ გვინარმოებია და, შესაბამისად, ის არ წარმოადგენს ჩვენი წერილის საკვლევ ობიექტს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თეორიულად ასევე გასააზრებელია კლების მექანიზმი და მისი ფუნქციობის გამორკვევა, რაც შემდგომი კვლევის ამოცანად შეიძლება დაისახოს.

შემატება-კლების, როგორც თეორიული პრობლემის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე თარგმანმცოდნეობის ქართულენოვან სივრცეში აღნიშნული პრობლემის შესახებ არასდროს ჩატარებულა კვლევა და ამიტომ ჩვენ მიერ წარმოდგენილ წერილს გარკვეული თეორიული ღირებულება და აქტუალობა ცგააჩნია.

რაც შეეხება კვლევის პრაქტიკულ მხარეს, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ თ. ს. ელიოტის ცნობილი ოთხი პოემის ქართულ თარგმანებში მთარგმნელი კლების მეთოდის გამოყენებისას ლირ-ის სამი სახეობიდან ყველაზე ხშირად მიმართავს კონტექსტით განპირობებულ ლირ-ს. ამ ტიპის ცვლილები თარგმანის ტექსტში ადეკვატურია, რადგან მთარგმნელის მხრიდან ყოველთვის გათვალისწინებულია დედნის შესაბამისი მონაკვეთების კონტექსტი და ფუნქცია.

საკვანძო სიტყვები: თარგმანის თეორია, შემატება-კლება, მთარგმნელისეული ტრანსფორმაცია, ლოგიკით იმპლიცირებული ჩანართები

გრიგოლ ორბელიანის ერთი ლექსის გამო

გურამ ბახტაძე

*ბათუმის შოთა ხუსთავეღის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ჰუმანიტაჰუდ მეცნიეხებათა ფაკულტეტი,
ქაჰთუღი. ფიღოლოგიის დეპაჰტამენტის ასოციეხებული პიოფესორი*

„თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ რომანტიზმის კლასიკური ნიმუშია. ტრადიციული ლიტმცოდნეობის თანახმად, იგი ლი-

რიკული გმირის უკიდურესი პესიმიზმის გამოვლინებად არის მიჩნეული. მოხსენების მიზანია, დაასაბუთოს, რომ ამგვარი მოსაზრება მოკლებულია ჭეშმარიტებას და მხატვრულ სახეთა სიღრმისეული ჰერმენევტიკული ანალიზი ცხადყოფს, რომ პოეტის ლოცვა ოპტიმისტური და რწმენაზე დაფუძნებულია. საერთოდ როგორი წარმოსადგენია რწმენისაგან დაცლილი ლოცვა?! ლექსის ამგვარი ინტერპრეტაცია საბჭოთა პერიოდის ათეისტური აზროვნების გამოძახილიც უნდა იყოს.

აღნიშნული ლექსის იდეის გააზრებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბეთანიის ტაძრის სათაურშივე ხსენებას. სიმბოლურია ორბელიანის მიერ ბეთანიის ეკლესიაში, ოდესღაც დიდებულ ქართველ გვარიშვილთა საძვალესთან ახლოს, თამარის ფრესკის წინაშე მოწინებით მუხლმოყრა. ის გარემოება, რომ იერუსალიმის ბეთანიის ტაძარში უფლის მიერ ოთხი დღის გარდაცვლილი და მკვდრეთით აღდგენილი ლაზარე განისვენებს და ქართული ენაც „ლაზარედ“ მოიხსენება, ლექსის იდეას მისტიკურ სამოსელში ახვევს და შესაძლებელს ხდის ვიფიქროთ: რომ ავტორი მოელის ქართველი ერის აღდგინებას.

წმინდა თამარის ზეცადაპყრობილი თვალები მეფის მხურვალე ლოცვის მაუწყებელია. ლოცვა კი არასდროს არ არის უიმედო. გრიგოლ ორბელიანის აზრით, ის რაც საქართველოს თავზე ხდება, უფლისაგან მოვლენილი სასჯელია. კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას ქართველთა რწმენის სისუსტეზე და იგონებს წმინდა თამარის დროს, რომ იქნებ ამით მაინც გაუღვიძოს თავის ხალხს ღირსების განცდა: „ცისუმერისხავი ერი“ ისევ თამარის ლოცვამ უნდა აღადგინოს, ამ რწმენით მოსულა „ხნით დამაშვრალი“ პოეტი ბეთანიის ეკლესიაში.

მტკიცე რწმენა, მდიდარი ენა, ზნეობრივი სრულფასოვნება, პატრიოტიზმი, განათლება... თამარის ეპოქის ქართველი ერის მახასიათებელი ნიშნებია. პოეტი შესთხოვს თამარს, დაუბრუნოს დაცემულ ერს დაკარგული რწმენა და ღირსება. აქ თითქოს გამოსჭვივის უიმედობის განცდა; თითქოს ეს ყოფა, შეუცვლელი და საბოლოოა. მაგრამ, ვფიქრობთ, ეს ასე არ არის. აქ უბრალოდ კითხვაა დასმული რაც შეიძლება მძაფრად. ავტორი მკითხველის გამოსაფხიზებლად

განგაშის ზარებს რეკავს, რათა გავაცნობიეროთ, რომ მდგომარეობა კრიტიკულია და უკანასკნელი ძალები მოვიკრიბოთ უკიდურესი ეროვნულ-პოლიტიკური კრიზისადან გამოსვლისათვის. ჩვენი აზრის გასამყარებელ არგუმენტად ის გარემოებაც მიგვაჩნია, რომ ღრმადმორწმუნე, „ფსალმუნის“ ავტორმა პოეტმა კარგად იცის, რაოდენ დამღუპველია უიმედობა, ურწმუნობა და უსასოობა ერისათვის.

გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ „დაყრუებულ, გზაშუვალ, უდაბურ ტყეში დარღვეული ტაძრის“ კედელზე შემორჩენილი თამარის ხატი იმედის ნიშანია და გვაუწყებს, რომ ღმერთს ჯერ კიდევ საბოლოოდ არ მოუძულებია საყვარელი ღვთისმშობლის წილხვდომილი ივერია. ამ მოსაზრებას საფუძველს უმყარებს ლირიკული გმირის სიტყვები, რომლითაც გადმოცემულია თამარის დროის საქართველოს მოგონების უმთავრესი მოტივაცია – **„ვიგონებთ შენს დროს, გული გვიმაგროს, სრულად არ წავჰსწყდეთ“**. მაშასადამე, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ – „გული გავიმაგროთ“ და „სრულად არ წავჰსწყდეთ“. სტრიქონებს შორის იკითხება მთავარი დებულება: მომავლის იმედის ნაპერწკალი, ჩვენსავე რწმენაში და ისტორიაში უნდა ვეძიოთ. ისტორიისადმი გრივოლ ორბელიანის დამოკიდებულება კი საყოველთაოდ ცნობილია.

საკვანძო სიტყვები: ლექსის იდეა, ლოცვა, რწმენა

დერივაციული კომბინაციები ქართულში

ჭაბუკი ქირია

თჰუ ჰუმანიტაჰუდი ფაკუდგეგის ასოციხებუდი პხოფესოხი,
ფიდოღოგის დოქტოხი

თეზისები

1. დერივაცია სიტყვის ისეთი ცვლილებაა, როდესაც იცვლება სიტყვის ფორმაც და სემანტიკაც, ფორმის ცვლილებას სემანტიკური ცვლილება მოჰყვება (ამით განსხვავდება ის ფლექსიური ცვლილებისაგან, როდესაც ფორმობრივ ცვლილებას სემანტიკური ცვლილება არ მოჰყვება).

2. ქართულში დერივატთა ათზე მეტი ჯგუფი გამოიყოფა.

3. ყურადღებას იქცევს ფორმები, სადაც დასტურდება დერივატთა რთული აფიქსაცია. ვფიქრობთ, ორმაგად (და სამმაგად) მარკირებულ დერივატები იძლევა საფუძველს, გამოვყოთ ახალი დერივაციული ჯგუფები; ამის მიზეზი ის არის, რომ დერივანტი + დერივანტი კომბინაციის შემთხვევაში ორივე აფიქსი ინარჩუნებს თავის ფუნქციას.

საკვანძო სიტყვები: დერივაცია, ენა, აფიქსი, ფორმა, ფუნქცია

სოციალური მეცნიერებები

სოციალური კონფლიქტები და მისი აღმოფხვრა თანამედროვეობაში

ჭიღლა ხუბულია

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი

khubuliajilda@gmail.com

კონფლიქტი განვითარებული საზოგადოების ჩვეულებრივი მდგომარეობაა და დემოკრატიული მმართველობის მახასიათებელია.

კონფლიქტი – ეს არის ურთიერთსაინააღმდეგო ქმედება. მისი გამომწვევი მიზეზი ძირითადად არის მოთხოვნილებების, ღირებულებების, ინტერესების აცდენა.

მოთხოვნილებათა კონფლიქტს იწვევს რესურსების ნაკლებობა.

ინტერესთა კონფლიქტი ახლოს არის შინაარსობრივად ღირებულებათა კონფლიქტთან, აქ ძირითადი კვანძი არის ძალაუფლების მოპოვებისაკენ სწრაფვა.

ღირებულებათა კონფლიქტს ძირითადად იდეოლოგიური ხასიათისაა.

სოციალური კონფლიქტების სუბიექტები შეიძლება იყვნენ ცალკეული ინდივიდები ან ჯგუფები.

კონფლიქტური სიტუაცია არის დაპირისპირებული მხარების მხრიდან საკუთარი პოზიციების გამყარებისათვის ბრძოლა.

კონფლიქტის დროს ფსიქოლოგიური მდგრადობის შენარჩუნება ცალსახად მნიშვნელოვანია, მნიშვნელოვანია ემოციური მდგრადობა – ემოციის მართვა, თვითკონტროლი, ინტელექტუალურობა, ფსიქოლოგიურად შინაგანი სიმშვიდის შენარჩუნება გარეგანი სტაბილურების მოსაპოვებლად.

კონფლიქტის წარმოქმნას და განვითარებას ხელს უწყობს ოთხი ჯგუფი: ობიექტური, მმართველობითი, სოციალურ-ფსიქოლოგიური და პიროვნული. პირველი ორი ობიექტური ხასიათისაა, შემდეგი ორი კი - სუბიექტური.

კონფლიქტისათვის მახასიათებელია ინფორმაციის დამახინჯება არასწორი კომუნიკაციის შედეგად.

კონფლიქტს აქვს ობიექტი, თუმცა მონაწილენი არიან სუბიექტურნი. მონაწილეებს ოპონენტებს ან მხარეებს უწოდებენ.

კონფლიქტს გააჩნია მიკრო და მაკრო გარემო. მიკრო გარემოს კონფლიქტებს შეიძლება წარმოადგენდნენ ადამიანები ან მცირე სოციალური ჯგუფები, ხოლო მაკრო გარემოს კონფლიქტებს წარმოადგენენ დიდი სოციალური ჯგუფები, ასევე, არის სოციალური გარემო, ფიზიკური გარემო და ფსიქოსოციალური გარემო.

კონფლიქტში მონაწილე მხარეთა მისწრაფებები არის მათი მამოტივირებელი.

კონფლიქტურ ქმედებას რაც შეეხება, ის ყოველთვის მონაწილე მხარეთა ურთიერთსაწინააღმდეგოა. ნებისმიერ კონფლიქტს ახასიათებს სტრატეგია და ტაქტიკა. კონფლიქტის ტაქტიკა, სამწუხაროდ, შეიცავს ფიზიკური და მორალური ძალადობის ელემენტებს.

კონფლიქტური ვითარების აღქმა ყოველთვის გადაჭარბებულია, დამახინჯებულია რეალობასთან მიმართებაში.

ძალადობა სოციალურ კონფლიქტებში ხშირია, არის პირდაპირი ძალადობა, რომელიც გულისხმობს მკვლელობას, ყაჩაღობას და ასე შემდეგ. არსებობს შენიღბული ძალადობა, რომელიც გულისხმობს ადამიანზე, ადამიანთა ჯგუფზე შეფარულ მორალურ ძალადობას.

სოციალური თეორიების მიხედვით ძალადობას იწვევს გგადარჩენისათვის ბრძოლა. მისი მამოტივირებელი შეიძლება გახდეს ნებისმიერი დაუკმაყოფილებლობა.

ძალადობის აღმოფხვრა სრულებით შესაძლებელია: სოციუმ-

ში თანაბარი, დამაკმაყოფილებელი საარსებო გარემოს შექმნით, ავტორიტარიზმის აღმოფხვრით, სამართლიანობის აღდგენით, საზოგადოების მართვის დემოკრატიული მეთოდების დანერგვით.

სოციალური კონფლიქტს განვითარების თავისებურება ახასიათებს, არსებობს ს არიდების გზები. ასევე შესაძლებელია კონფლიქტის სრულად აღოფხვრა და თავდიან აცილება.

კონფლიქტის დასრულება ხშირად რელაურია თუ კონფლიქტში მოანწილე მხარარეები ფუნდამენტური ღირიებულებების შეცვლაზე და დათობაზე შეჯერდებიან ან მე-3 მხარე ჩაერთვება ს ჩასაქრობად.

სოციალურ კონფლიქტებს ხშირად ახლავს კონფლიქტის სინდრომი, რაც ოპონენტთა დაძაბულობაში გამოიხატება და ეს კი შეიძლება გახდეს ახალი კონფლიქტის მიზეზი.

კონფლიქტების სოციალურ გარემოს ამახინჯებს და ცუდ გავლენას ახდენს ინდივიდის ქვეცნობიერზე.

კონფლიქტის აღმოფხვრა სრულად შესაძლებელია სწორი სოციალური კომუნიკაციით.

საკვანძო სიტყვები: სოციალური, ღია ძალადობა, ფარული ძალადობა, სოციალური კომუნიკაცია

ინავ სალიტერატურო ქართული ენისთვის

თეკლა თოთლაძე

*გოჩის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტაჰურ მეცნიეხებათა ფაკულტეტი, ქაჰთული ფილოლოგია
Tekla.totladze@bk.ru*

ხედმძვანელი – თამარ გოგოლაძე

*გოჩის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტაჰურ მეცნიეხებათა
ფაკულტეტის ჰოფესოხი, ფილოლოგიის მეცნიეხებათა დოქტოხი*

კონსტანტინე გამსახურდიას პუბლიცისტიკაში არაერთი წერილი თუ ესე ეძღვნება ქართულ სალიტერატურო და სამეტყველო ენას. XX

საუკუნის 30-40-იან წლებში შექმნილი წერილები „სალიტერატურო ქართულისათვის“, „როგორ ვწერ?“, „ისევ სალიტერატურო ქართულისათვის“, „ვილაშქროთ ქართული ენის სინმინდისათვის“, „ლექსიკოლოგიური შენიშვნები“ – ანალიტიკური ხასიათისაა, სადაც მწერალი ერთგვარ ენათმეცნიერულ კვლევას ატარებს ქართული ენის ფორმირებისა და განვითარების საკითხებზე. მწერლის თეორიული დებულებები ქართული სალიტერატურო ენის შესახებ დღესაც აქტუალურია.

კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრული ენა და მისი ბრძოლა ქართული ენის სინმინდისათვის არაერთხელ გამხდარა კრიტიკისა და განსჯის საგანი.

კონსტანტინე გამსახურდია უმთავრეს მნიშვნელობას ენიჭებდა ენის ტრადიციებსა და ენის კულტურას ანიჭებდა ეროვნული მსოფლმხედველობის მწერალი, სათუთად უვლიდა და ეპატრონებოდა მშობლიურ ენას. ამისთვის გარჯა და დაფიქრება მას უმთავრეს მოვალეობად მიაჩნდა. ერის მთავარი „გასაღები“, ხომ მართლაც ენაა. სავსებით გასაგებია გამსახურდიას თავგამოდებული ბრძოლა ქართული ენისათვის. ამის ახსნას თავად დიდოსტატი იძლევა: „რაც უფრო მეტს დაფიქრდები ამ უცნაური ფენომენის გამო, მით უფრო რწმუნდები, რომ დიდ და ძველ ტრადიციათა მატარებლის ენის შესასწავლად ადამიანის ერთგერი სიცოცხლეც მოკლეა.“

ქართული სალიტერატურო ენისადმი მიძღვნილი წერილების ციკლში ავტორი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ენისა და ნაციონალური სახელმწიფოს ურთიერთობას. გამსახურდია მიიჩნევს რომ ერს, რომელსაც ნაციონალური სახელმწიფო არ გააჩნია, ვერ შეასრულებს „დიდ კულტურულისტორიულ მისიას.“

კონსტანტინე გამსახურდიას წერილები სალიტერატურო ქართული ენის შესახებ მნიშვნელოვანია არა მარტო ენათმეცნიერებისთვის, არამედ ქართული ლიტერატურის ისტორიისთვისაც. რამდენადაც მწერალი, „სიტყვის ოსტატი“, თავად მსჯელობს საჭიროებებზე, რომელსაც იგი გამუდმებით იცავდა თავის მხატვრულ ქმნილებებში. აღნიშნულ საკითხებს ეხება ჩვენი წინამდებარე სტატიაც.

საკვანძო სიტყვები: გამსახურდია, სალიტერატურო ენა, წერილები

გაკვეთილის მოსალოდნელი შედეგების განხორციელება

ეკატერინე ვანაძე

ფილოლოგიის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი

გაკვეთილის შედეგი არის გაზომვადი, დაკვირვებადი და კონკრეტული. ის ნათლად გვიჩვენებს, თუ რა უნდა იცოდეს სტუდენტმა და რის გაკეთებას შეძლებს გაკვეთილის დასრულების შემდეგ. გაკვეთილის შედეგი მიზანმიმართულ სწავლაზეა ორიენტირებული. ინგლისური ენის ყველაზე გავრცელებული შედეგი უნდა იყოს ენის შემსწავლელის მიერ ენის და უნარების შესწავლა და მათი გამოყენება სხვა მსგავს თემებზე საუბრისას განსხვავებულ ჟანრში. ინგლისური ენის მიზანი არის ლიგვისტური, კოგნიტური და ეფექტური ცვლილებების განხორციელება სტუდენტებში.

ინგლისური ენის გაკვეთილი მოიცავს სამი სახეობის შედეგს: ენის შედეგი, რომელიც გულისხმობს ლექსიკის, გრამატიკის და ფუნქციების დაუფლებას; უნარების შედეგი, რომელიც მოიცავს კითხვას, აზრის გამოხატვას, წერას, რეპრეზენტაციას, მოსმენას, საუბარს და, ასევე, ცხოვრების უნარებს, რომელიც მოიცავს რაპორტს, ემპათიას, სოციალურ და ემოციურ ინტელექტს და ა.შ.

გაკვეთილის მოსალოდნელი შედეგი სასარგებლოა როგორც მასწავლებლისათვის, ასევე სტუდენტისათვის, ვინაიდან იმის გადანყვეტა, თუ რა უნდა იქნას შესწავლილი გაკვეთილზე აძლევს მასწავლებელს საშუალებას დასახოს კონკრეტული მიზნები და შეაძლებინებს მას წინასწარ მოახდინოს ფოკუსირება სტუდენტის სწავლის პროცესზე: თითოეული გაკვეთილის მოსალოდნელი შედეგის დაწერა სწავლის პროცესის დადგმის და თანმიმდევრულად განხორციელების საშუალებას გვაძლევს; გაკვეთილის შედეგების მკაფიოდ გამოხატვა საშუალებას აძლევს მასწავლებელს შეაფასოს დასახული სწავლის პროცესი უფრო ზუსტად; გასაგები სწავლის შედეგი ასევე იძლევა გაკვეთილზე შიდა კოჰერენსიის და მისი წარმატებულად წარმართვის საშუალებას. და ბოლოს, კონკრეტული გაკვეთილის შედეგის ქონა არ უშლის ხელს მასწავლებელს იყოს

მოქნილი და კრეატიული სწავლების პროცესში.

სწავლის კონკრეტული შედეგის იდენტიფიცირება და დაწერა ეხმარება მასწავლებელს გაკვეთილის უკანა მიმართულებით დაგეგმვაში, რაც გულისხმობს გაკვეთილის დაწყებას საბოლოო მიზნის დასახვით და მუშობას უკანა მიმართულებით გეგმის განსახორციელებლად. ბუნებრივია გაკვეთილის შედეგი სტუდენტებთან უნდა იყოს გაზიარებული. ეს შეიძლება მოხდეს აკრონიმით WALT(We Are Learning to ჩვენ ვსწავლობთ...), და KWL ცხრილით (რა იცის სტუდენტმა, რისი ცოდნა სურს, რა ისწავლა). სტუდენტები შეიძლება ჩაერთონ სწავლის შედეგის შეფასების პროცესში მიმდინარე დიალოგით მასწავლებელთან და ერთმანეთთან დისკუსიის გამართვით, რათა შეძლონ თვითნაირი იდეების გაზიარება, შედარება და კომბინაცია.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ გაკვეთილის შედეგი არის ფუნდამენტური გაკვეთილის დაგეგმისათვის და ენის ეფექტური სწავლისათვის. ის ააქტიურებს სტუდენტის წინარე ცოდნას შესასწავლი საკითხის ირგვლივ და რთავს სტუდენტებს მოსალოდნელი შედეგის შეფასების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: შეფასება, გაკვეთილის შედეგი, სწავლა, სწავლება

გლობალიზაცია და მისი გავლენა განათლებაზე

მაია ალაია

აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უდავო ფაქტია, რომ ჩვენი სამყარო 21-ე საუკუნეში უფრო გლობალიზებულია. გლობალიზაციის შედეგად ჩვენი სამყარო გარდაქმნა და მან განიცადა უზარმაზარი ცვლილებები. ამკარა ფაქტია, რომ გლობალიზაცია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ის არის პროგრესული პროცესი, რომელიც ხელს უწყობს უფრო ინტენსიურ ურთიერთქმედებას და ტექნოლოგიების განვითარებას.

რებას. გლობალიზაციამ მნიშვნელოვანი და დიდი გავლენა მოახდინა განათლებაზე. თანამედროვე მსოფლიოში განათლება მსოფლიო ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა. მას არსებითი და გადამწყვეტი როლი უჭირავს საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაშიც. განათლება ხელს უწყობს და აძლევს შესაძლებლობას ინდივიდებს განვითარდნენ და მოემზადონ მომავლისთვის. ჩვენი ნაშრომი მიზნად ისახავს გამოიკვლიოს რა დადებითი გავლენა და სარგებელი მოაქვს გლობალიზაციას განათლებაზე. თითოეული ქვეყანა ცდილობს შექმნას ეფექტური და შესაფერისი განათლების სისტემა. გლობალიზაცია მეტ კონკურენციას ნიშნავს. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, 2005 წლიდან ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესებს რადგან ის დიდ როლს თამაშობს განათლების ხარისხის ამაღლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის ამაღლების კუთხით. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ყველაფერს აკეთებენ სტუდენტების მობილობისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. ქართველი და უცხოელი სტუდენტებისა და მკვლევარების მზარდი რაოდენობა, ისევე როგორც სამეცნიერო და საგანმანათლებლო პარტნიორობის გაზრდა ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებს შორის, ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია ქართულ უმაღლეს განათლებაში. საქართველოს უნივერსიტეტები ცდილობენ განახორციელონ კონკურენტუნარიანობაზე ორიენტირებული რეფორმები, მუდმივად გააუმჯობესონ განათლებისა და სწავლების პრაქტიკის ხარისხი, გაზარდონ სტაჟირება და გახადონ სწავლება უფრო მრავალფეროვანი. დღესდღეობით საგანმანათლებლო პროგრამები მუდმივად განახლების რეჟიმშია და ხდება უფრო მოქნილი პროგრამების დანერგვა, ყველა სახის ეფექტური და პროდუქტიული მეთოდისა და სტრატეგიის გათვალისწინებით. ქართული უნივერსიტეტები ცდილობენ მიიღონ აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო თანამშრომლობაში, რათა ძირეულად გააუმჯობესონ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები და შექმნან მეტი საერთაშორისო გარემო. ისინი ცვლიან თავიანთ პროგრამებს საერთაშორისო სტანდარტების მი-

ხედვით და ნერგავენ სხვადასხვა მოქნილ სასწავლო შესაძლებლობებს, რათა გააუმჯობესონ თავიანთი ქვეყნის კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე. თუმცა მათი მთავარი ამოცანაა ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება გლობალიზაციის ფარგლებშიც.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, განათლების რეფორმა, უმაღლესი განათლება, ეფექტი, შესაძლებლობები

1937 წლის რეპრესიები და დახვრეტილი ინტელიგენცია

ნონა ამბოკაძე

ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართულ ლიტერატურულ სივრცეში რუსეთის, როგორც ტოტალიტარული სახელმწიფოს მავნებლური სახე, არაერთ ნაწარმოებშია განხილული. როგორც ცნობილია, 1930-იან წლებში საბჭოთა კავშირში დაიწყო რეპრესიების ყველაზე მასშტაბური ტალღა, რომელმაც 1936-1938 წლებში პიკს მიაღწია. ცხადია, „რეპრესია“, „ტერორი“, „ერის მოლაღატე“, „მტრის შვილი“ და სხვ. ადრეული საბჭოთა პერიოდის საშინაო პოლიტიკის ჩვეულებრივი სამუშაო ტერმინები იყო, თუმცა, გასული საუკუნის 30-იან წლებში მათ სხვა დატვირთვა და მასშტაბურობა შეიძინეს. განსაკუთრებით ემტერებოდნენ საღად მოაზროვნე ინტელიგენციას, რომელიც აპროტესტებდა სსრკ-ში მცხოვრები ადამიანების უსამართლო, უუფლებო მდგომარეობას.

ქართულ სინამდვილეში 1930-იანი წლების საბჭოურ რეპრესიებზე, როგორც კოლექტიურ ტრავმაზე, საუბრის დაწყება განაპირობა 1960-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე ახალი თაობის – „სამოციანელების“/„ცისკრელების“ – გამოჩენამ. მათი გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე სტალინური პერიოდის შემდგომ, ე.წ. „დათბობის“ („оттепель“) პერიოდს დაემთხვა. რევამ ინანიშვილი, რომლის ორი მოთხრობის განხილვას ვაპირებთ, სწორედ, 60-იანელებს

მიეკუთვნებოდა. პირველი ნოველაა „პატარა ბიჭი გოლგოთაზე“, მეორე კი – „ლარა“

რევაზ ინანიშვილს სტალინური რეპრესიები უშუალოდ შეეხო. იგი თერთმეტი წლის იყო, როცა მამა დაუპატიმრეს; ამ ტრაგედიამ ღრმა კვალი დააჩნია მის ცხოვრებას. ნოველა **„პატარა ბიჭი გოლგოთაზე“** ავტობიოგრაფიულია და იმავდროულად, ისტორიულიც, რადგან მასში მწერალი ჩვენი ქვეყნის ურთულესი პერიოდის – 1930-იან წლების – რეალურ ამბებს გადმოგვცემს. სათაურიდან გამომდინარე, მკითხველი ხვდება, რა დიდ ტკივილზეა საუბარი ამ მცირე ფორმის ოსტატურად დაწერილ ავტობიოგრაფიულ ნოველაში. მართლაც, გოლგოთა გაიარა არა მხოლოდ ამ ნაწარმოების გმირმა „პატარა ბიჭმა“, არამედ ყველა იმ ბავშვმა, რომელთა ოჯახებს 1930-იანი წლების რეპრესიები შეეხო.

მოთხრობა „პატარა ბიჭი გოლგოთაზე“ მეტად ემოციურია; მასში ერთი ქართული ოჯახის ტრაგედიის მიღმა აშკარად იკითხება მრავალი ანალოგიური ისტორია; ცხადად ჩანს, რომ ინანიშვილების ოჯახი, სამწუხაროდ, გამონაკლისს არ წარმოადგენდა; რომ რეპრესიების (და მისი თანამდევი ტრაგედიების) მასშტაბი საკმაოდ მოცულობითი იყო. რევაზ ინანიშვილი, ერთგვარი, განზოგადებული, სახეა ყველა იმ მშობლებდაკარგული ბავშვისა, რომელმაც პატარა მხრებით ატარა დიდი ტერორის წლების რეპრესიებით გამოწვეული სიმძიმე.

სწორედ ბოროტებისა და სიკეთის ანტინომიაზეა აგებული რევაზ ინანიშვილის მოთხრობის – **„დახას“** – სიუჟეტური ღერძი, რომელიც ასევე, ოცდაათიანი წლების რეპრესიების პრობლემას ააშკარავებს. ნაწარმოების მთავარი გმირები, მამა-შვილი, ანტინომიას ქმნიან, რომელშიც ერთი (მამა) – ტოტალიტარული სახელმწიფოს სისასტიკეს განასახიერებს, ხოლო მეორე (შვილი) – ბიოლოგიური ნათესაობის მიუხედავად, მამისგან რადიკალურად განსხვავებულ, თავისუფლად მოაზროვნე, კეთილშობილ ადამიანს.

იმის მიუხედავად, რომ რევაზ ინანიშვილი თავად რეპრესირებული ოჯახიდან იყო, არც უფიქრია „სამაგიეროს“ გადახდა ჯალათის შვილებისთვის და მათი წარმოჩენა უარყოფით კონტექსტში. პირიქით, ლარა და ჟულიენი განათლებულ და კეთილშობილ ადამიანე-

ბად არიან მოთხრობაში წარმოდგენილნი. ისინი აცნობიერებენ თავიანთი წინაპრის მიერ ჩადენილ ცოდვებს;

ორივე მოთხრობა მწერლის დიდი ტკივილითაა დაწერილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როცა რეზო ინანიშვილის შემოქმედებაზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით მისთვის დამახასიათებელ ჟანრულ სიზუსტეს (ვგულისხმობთ, ნოველის ჟანრს) და მის ერთ-ერთ ნიშანდობლივ თვისებას – გამოკვეთილ დასასრულს.

საკვანძო სიტყვები: ტერორი, რეპრესიები, კოლონიალიზმი, გადასახლება, ინტელიგენცია

ფსიქოთერაპიული კვლევები საქართველოში

მაია კაღანდარიშვილი

*საქართველოს საპატიოპროფესორი წმინდა თამარ მეფის უნივერსიტეტი,
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი*

კვლევის მიზნები:

წარმოდგენილი კვლევის მიზნებია:

- 1) ეფექტური ფსიქოთერაპიული მკურნალობის განმსაზღვრელი ფსიქოლოგიური ფაქტორების იდენტიფიცირება როგორც თერაპევტის, ასევე კლიენტის დამოკიდებულებიდან,
- 2) გამოვლენილი ფაქტორების მნიშვნელობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება,
- 3) თერაპევტისა და კლიენტის დამოკიდებულების შედარება ფაქტორებთან დაკავშირებით, რომლებიც განსაზღვრავენ ეფექტურ ფსიქოთერაპიულ მკურნალობას თერაპევტსა და კლიენტს შორის თერაპიული პროცესის ოპტიმიზაციისთვის,
- 4) ამერიკული და ქართული მოსახლეობის შედარება აღნიშნული მიზნების მიხედვით. მათ შორის მსგავსებისა და განსხვავებების გამოვლენა.

კვლევის მეთოდი:

წინამდებარე კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენეთ ჩვენს მიერ შემუშავებული ოთხი კითხვარი.

თითოეული ფაქტორი შეფასებულია 5-ბალიანი შკალით (-2-დან +2-მდე), თუ რამდენად მნიშვნელოვანია კვლევის მონაწილეები ფსიქოთერაპევტის ან კლიენტის ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს თერაპიული პროცესის წარმატებისთვის (მაგ. ფსიქოთერაპევტის მოსმენის უნარი, ფსიქოთერაპევტის თანაგრძნობა, მიზნების დასახვის უნარი და მათ მიღწევაზე მუშაობა, განათლების დონე, კლიენტის დამოკიდებულება თერაპიის პროცესის მიმართ და ა.შ.).

კვლევაში სულ 331 ცდის პირი მონაწილეობდა.

შედეგები და დასკვნები:

1. კვლევის პირველ ფაზაში შემუშავებული კითხვარი, რომელიც იკვლევს ფსიქოთერაპიული პროცესის მონაწილეთა (როგორც თერაპევტის, ასევე კლიენტის) დამოკიდებულებებს, არის ეფექტური ფსიქოთერაპიული მკურნალობის ფაქტორების იდენტიფიცირება და შეფასება. შემუშავებული კითხვარი ხასიათდება მაღალი სტატისტიკური სანდოობით. (ქრონობახის ალფა = 0,850, F = 59,4 P = 0,000).

2. ფსიქოთერაპიული პროცესის ეფექტურ მართვაში მნიშვნელობის ხარისხის მიხედვით გამოიკვეთა ფაქტორების 6 ჯგუფი: განსაკუთრებით და ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორებიდან (ფსიქოთერაპევტისადმი ნდობა, კლიენტის ჩართვა თერაპიის პროცესში...) უმნიშვნელომდე. ფაქტორები (ფსიქოთერაპევტის სქესი და ასაკი),

3. მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდა თერაპევტებისა და კლიენტების ჯგუფების დამოკიდებულებებს შორის, მაშინ როცა არ არის დიდი განსხვავებები ინდივიდუალური თერაპევტისა და კლიენტის ჯგუფებსა და მათ შესაბამის საკონტროლო ჯგუფებს შორის. ეს შედეგი გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ამჟამად უფრო ძლიერი და მსგავსი დამოკიდებულებები ყალიბდება პროფესიონალურ (ფსიქოთერაპევტი, ფსიქ-კონსულტანტი) და არაპროფესიონალურ (კლიენტები, არაკლიენტები) ჯგუფებში ფსიქოთერაპიული პროცესის ეფექტურობის შესახებ, ვიდრე ფსიქოთერაპევტს შორის. კლიენტთა ჯგუფები,

4. მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოიკვეთა ამერიკელ და ქართულ მოსახლეობას შორის. ფსიქოთერაპიული მკურნალობის პროცესში ფსიქოთერაპევტის მოქნილობა და ფსიქოთერაპევტების პროფესიული ცოდნა და მათი ინფორმირებულობა თანამედროვე ტენდენციების შესახებ ქართველი პროფესიონალები უფრო მნიშვნელოვანად მიიჩნევენ მათ ამერიკელ კოლეგებთან შედარებით.

საკვანძო სიტყვები: ფსიქოთერაპიის ეფექტურობა, ფსიქოთერაპიის ფაქტორები, პერსონალური ცვლადები, კითხვარი, დამოკიდებულებები/განწყობები

თვითეფექტურობის, ცხოვრების საზრისისა და სიტუაციური შფოთვის ურთიერთმიმართება, გლობალურ სტრესთან გამკლავების დროს

მეღეა ბარბარინი

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრობის კანდიდატი
ია შეყრიდაძე*

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოციირებული პროფესორი, PhD

ბოლო ორი წლის მანძილზე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა, მნიშვნელოვნად გააუარესა საზოგადოების ემოციური მდგომარეობა. ისეთმა გლობალურმა სტრესორებმა, როგორცაა პანდემია და უკრაინაში მიმდინარე ომი, უდიდესი გავლენა იქონია ადამიანების როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განცდაზე და გამოიწვიეს შფოთვის გაძლიერება. მიუხედავად იმისა, რომ ომი საქართველოს ტერიტორიაზე არ მიმდინარეობს, მან გააძლიერა წარსულში არსებული ომთან დაკავშირებული ტრავმა. კვლევის მიზანია, საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში ომთან და პანდემიასთან დაკავშირებული ნუხილის, შფოთვისა და დაძლევის შესახებ მონაცემების შეგროვება. კვლევა ადგენს, როგორია შფოთვისა და დაძლევის მიმართებას თვითეფექტურობასა და ცხოვრების საზრისთან.

კვლევაში 254-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, მათი 41% მამრობითი, ხოლო 59% მდედრობითი სქესისაა. კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი დიზაინით, ხელმისაწვდომი შერჩევის გამოყენებით. ელექტრონული კითხვარი გავრცელდა სოციალური ქსელების მეშვეობით, საქართველოს 18+ ასაკის მოსახლეობაში. საკვლევ ინსტრუმენტებად გამოყენებული იყო: სიტუაციური შფოთვის კითხვარი, თვითეფექტურობის ზოგადი სკალა, დაძლევის გზების სკალა, ცხოვრების საზრისის კითხვარი, ომთან და პანდემიასთან დაკავშირებული შფოთვის გასაზომად კი covid-წუხილისა და უკრაინის ომზე წუხილის სკალებია გამოყენებული. ცვლადებს შორის მიმართებების დასადგენად, კვლევაში გამოყენებულია კორელაციური და რეგრესიული ანალიზი.

მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ კვლევის მონაწილეებს აქვთ მაღალი ომზე წუხილის მაჩვენებელი, გამოკითხულთა 50%ზე მეტმა დააფიქსირა, რომ ღელავენ მომავალზე, ომმა გავლენა იქონია მათ ყოველდღიურობაზე, მოტივაციასა და ემოციურ მდგომარეობაზე. კვლევის მონაწილეებს მაღალი თვითეფექტურობისა და ცხოვრების საზრისის მაჩვენებლები აქვთ. სიტუაციური შფოთვა ნეგატიურ კორელაციაშია თვითეფექტურობასთან, ცხოვრების საზრისსა და რაციონალურ დაძლევასთან, ხოლო დადებით კორელაციაშია, covid-წუხილს, ომზე წუხილსა და ემოციურ დაძლევასთან. თვითეფექტურობა და ცხოვრების საზრისის ფლობა დადებით კორელაციაშია რაციონალურ დაძლევასთან და ომზე წუხილთან ერთად, პროგნოზირებენ მას.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ თვითეფექტურობის განცდა და ცხოვრების საზრისის ფლობა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გამკლავების რაციონალური სტილის არჩევაზე, გლობალური სტრესის დროს.*

საკვანძო სიტყვები: თვითეფექტურობა, ცხოვრების საზრისი, შფოთვა, დაძლევა, გლობალური სტრესი

* კვლევა განხორციელდა შოთა ჰუსთავედის საქართველოს ეხოვნედი სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [MR-21-594].

თვითსტიგმის შესწავლა ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანებში*

ეკატერინე ვეშაპიძე

*იღიას სახედმწიფო უნივეხსიგეგი, მაგისტრაგუხის საფეხუხი,
მაგისტრობის კანდიდატი
ია შეყრიღაძე*

იღიას სახედმწიფო უნივეხსიგეგი, PhD, ასოციეხებული პოფესოხი

ადამიანის ფსიქიკური ჯანმრთელობისადმი ინტერესის ზრდამ, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 21-ე საუკუნეში, გამოა-
აშკარავა მრავალი პრობლემური ასპექტი, რომელიც მენტალური
დაავადებების მქონე პირებთან მუშაობის დროს სპეციალისტების
ყურადღებას საჭიროებს. მათ შორის ერთ-ერთი მწვავე პრობლემა
თვითსტიგმას უკავშირდება. თვითსტიგმის მსხვერპლნი ძირითადად
ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანები ხდებიან, რომელთა რი-
ცხვი მსოფლიოში დღითიდღე იზრდება. შესაბამისად, აღნიშნული
პრობლემა საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს.

კვლევის მიზანია, შეისწავლოს თვითსტიგმა ქართულ პოპულა-
ციაში, დადგინდეს, კონკრეტულად რა ტიპის კავშირებია ფსიქიკური
აშლილობების მქონე პირების თვითსტიგმის ხარისხსა და კეთილ-
დღეობის მაჩვენებლებს, კერძოდ, თვითეფექტურობის, ცხოვრების
საზრისის, კარგად ყოფნისა და ცხოვრებით კმაყოფილების დონე-
ებს, შორის. დამატებით, კვლევა მიზნად ისახავს დაადგინოს თუ რა
მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა დემოგრაფიულ მო-
ნაცემებს (ასაკი, სქესი, განათლება, საქმიანობა, ოჯახური მდგომარ-
ეობა) თვითსტიგმასთან მიმართებაში. კვლევა რაოდენობრივი
ხასიათისაა და გამოყენებულ იქნა გამოკითხვის მეთოდი. საკვლევი
ინსტრუმენტებად შეირჩა კითხვარები, რომლებშიც სხვადასხვა
სკალებით შეფასდა კვლევის მონაწილეთა: თვითსტიგმის ხარისხი
და თვითეფექტურობის, ფსიქიკურად კარგად ყოფნის, ცხოვრების
საზრისისა და ცხოვრებით კმაყოფილების დონეები. გამოკითხვის

* კვლევა განხორციელდა შოთა ხუსთაველის საქართველოს ეროვნული სა-
მეცნიეხო ფონდის მხარდაჭეხით [MR-21-240].

შედეგები სტატისტიკურად დამუშავდა და ცვლადთა შორის კავშირების დასადგენად მოხდა მონაცემების კორელაციური და რეგრესიული ანალიზი.

კვლევის პირველადი შედეგების თანახმად, უარყოფითი კავშირები დადგინდა ერთი მხრივ თვითსტიგმასა და მეორე მხრივ კეთილდღეობის მაჩვენებლებს შორის. გარდა ამისა, თვითფექტურობა და ცხოვრების საზრისი უარყოფითად წინასწარმეტყველებენ თვითსტიგმის დონეს.

კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს საზოგადოებაში დამკვიდრებული სტიგმების გამოაშკარავებას და მათი გავლენის შესწავლას ინდივიდების თვით აღქმაზე, ასევე მათთან გამკლავების გზების იდენტიფიცირებას. კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები უფრო მკვეთრად დაგვანახებს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს მნიშვნელოვნებას ქართული საზოგადოებისთვის და წვლილს შეიტანს თვითსტიგმის შესახებ გლობალური სურათის შექმნაში.

საკვანძო სიტყვები: თვითსტიგმა, ფსიქიკურად კარგად ყოფნა, თვითფექტურობა, ცხოვრებით კმაყოფილება, ცხოვრების საზრისი

ეკონომიკა, ბიზნესი და ტურიზმი

ინოვაციური ციფრული პლატფორმები ბიზნესში

ირინა ბენია

ასოციირებული აფილირებული პროფესორი
 თჰუ ბიზნესის ადმინისტრაციის ფაკულტეტი

დისტანციურ სამუშაოზე გადასვლამ ბიზნესი ეტაპობრივად გადამიყვანა ციფრულ პლატფორმებზე. ფინანსური ხარჯის შემცირებისა და მონაცემთა დაცვის მიზნით გაიზარდა ღრუბლოვანი სისტემების საჭიროება. მანქანური სწავლება და ხელოვნური ინტელექტი მოითხოვს მოქალაქეთა ახალი ციფრული უნარებისა და მანქანური სწავლების კომპეტენციების ჩამოყალიბებას, საზოგადოების სწრაფად ადაპტი-

რებას ინოვაციურ ტენდენციებთან. მრავალფუნქციური ღრუბლოვანი სისტემები მეტად მოთხოვნადი ხდება, რადგან ინფორმაციისა და მონაცემების უმეტესობა არასტრუქტურირებულია და ასევე მონაცემების რაოდენობა მუდმივად იზრდება, ღრუბელი კი გამოიყენება როგორც მეორადი ან მესამეული შენახვის დონე. ბიზნესში კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად აუცილებელია ციფრული სისტემების დანერგვა და მუდმივი კომუნიკაცია დამკვეთთან ციფრული სერვისების სწრაფად და ხარისხიანად მისაწოდებლად.

ლოქდაუნის პირობებში საზოგადოების ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი დაჩქარდა. ჯანდაცვის სიტემაში არსებული კრიზისის გათვალისწინებით უფრო და უფრო მეტი კომპანია და კერძო პირი მიმართავს ციფრულ პლატფორმებსა და ღრუბლოვან სისტემას. დისტანციურ სამუშაოზე გადასვლამ სკეპტიკურად განწყობილ ადამიანებსაც კი უბიძგა შეეცვალათ თავიანთი წარმოდგენა ღრუბლოვანი სისტემებისადმი და სწრაფად ადაპტირებულიყვნენ თანამშრომლობის ახალ სტანდარტებთან. ხელოვნური ინტელექტისა და მანქანათმცოდნეობის ევოლუციამ კიდევ უფრო მეტად განაპირობა ღრუბლოვანი ტექნოლოგიების დანერგვა ყველა სფეროში.

რაც უფრო მეტი ადამიანი გადავიდა დისტანციურ მუშაობაზე, მით უფრო მეტი ტექნოლოგიური კომპანია შეეცადა შემოეთავაზებინა მონინავე გადანყვეტილებები, რომლებიც ღრუბლოვან გარემოს უფრო უსაფრთხოს, ეფექტურს და პროდუქტიულს გახდის. ძველი და ახალი მეთოდოლოგიები იწყებენ ცვლილებებს ღრუბელში საერთო თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად. ბიზნეს ინსტრუმენტები უკვე ასახავენ სამუშაოს ღრუბლოვან ბუნებას როგორც დისტანციური, ასევე ადგილობრივი კატეგორიებისათვის.

განვიხილავ კომპანიების წინსვლისა და ბიზნესში კონკურენტული უპირატესობის მოპოვების ხელშემწყობი ღრუბლოვანი გამოთვლების რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენციას: Cloud Streaming (ღრუბლოვანი ნაკადი), Cloud-enabled Internet of Things (ღრუბლოვანი სისტემებით მხარდაჭერილი ნივთების ინტერნეტი), Enterprise Cloud სტრატეგიები, ბიზნესის ფინანსური მენეჯმენტი, სერვერის დაზოგვა და ინტეგრაციები ღრუბლოვანი სისტემის დახმარებით. განვიხილოთ რას აუმჯობებს და აიაფებს ეს სერვისები მენარმეთათვის:

Cloud Streaming არის ნებისმიერი გეიმერის და პროფესიონალი ვიდეო პროდიუსერის ოცნება, კერძოდ კი ტექნიკის ბოლო მღწევების გარეშე ხარისხიანი ვიდეო კონტენტის ტრანსლირების შესაძლებლობა. ღრუბლოვანი ტექნოლოგიის წინსვლის პირობებში, სტრიმინგის უპირატესობაც იზრდება. სხვა მოწყობილობებში მუდმივი ინვესტირების გარეშეც, ღრუბლის გამოყენებით მწარმოებლებსა და მოთამაშეებს აქვთ შესაძლებლობა ადვილად გაზარდონ საკუთარი ძალისხმევა ვიდეოების და თამაშების შესაქმნელად. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა, რომელიც ხელს უწყობს უფრო მეტ პროფესიონალს გამოიყენონ ღრუბლოვანი ნაკადი, არის ღრუბლის უსაფრთხოების მუდმივი განვითარება. არა მხოლოდ ვიდეო კონტენტია დაცული ღრუბელში მეკობრეობისგან, არამედ ის ასევე გამორიცხავს მონაცემთა გაჟონვის ყველანაირ შესაძლებლობას.

ღრუბლის დახმარებით შესაძლოა მარტივად ვმართოთ მოვლენების ნაკადი ფართო აუდიტორიებისათვის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, თანაც ვიდეო კონტენტის ხარისხის დაზიანების გარეშე. არ აქვს ნიშნელობა იქნება ეს განათლების მიღება თუ უბრალოდ გართობა, ღრუბლოვანი სტრიმინგი შეცვლის ჩვენს ვიდეოს მოხმარებას 2022 წელს მთლიანად. უფრო მეტიც, სმარტ სახლები გამოიყენებენ უბრალო მონაცემებს წარმოების ოპტიმიზაციისა და ენერგოეფექტურობისათვის. ქვიანი თერმოსტატი შეძლებს ენერგომოხმარების შესახებ მონაცემთა შეგროვებას და გადამუშავებას მაშინაც კი, როცა ჩვენ არ ვიქნებით სახლში. მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან შეძლებთ სმარტ სახლის კონტროლს ნივთების ინტერნეტისა და ღრუბლოვანი სისტემების დახმარებით. თვისობრივად სხვა ეტაპზე გადავიდა საზოგადოების ცხოვრება, რომელიც მხოლოდ დიჯიტალიზაციის დანერგვით მიიღწევა.

რაც შეეხება Cloud-enabled Internet of Things-ს, ღრუბლის წყალობით, IoT მოწყობილობები ხდება ახალი ნორმა მრავალ ინდუსტრიაში იმის წყალობით, რომ მიმწოდებლები ღრუბლოვანი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით რჩებიან მუდმივ კონტაქტში თავიანთ მომხმარებლებთან და დამკვეთებთან. ბრენდები სულ უფრო ხშირად იყენებენ Cloud-enabled Internet of Things-ს (ნივთების ინტერნეტს) და ღრუბელს საჭირო ინფორმაციის შესაგროვებლად და მომსახურების

ხარისხის გასაუმჯობესებლად. ანალოგიურად, სამედიცინო დაწესებულებები იწყებენ თავიანთი პაციენტებისთვის ღრუბლოვანი მონაცემთა ბაზების შექმნას და ჯანმრთელობის მონიტორინგს. მოსალოდნელია, რომ სამედიცინო მომსახურების კერძო პროვაიდერები, ასევე სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებები უფრო აქტიურად მოახდენენ ღრუბლის გამოყენებას IoT-თან ერთად.

Enterprise Cloud სტრატეგიებს რაც შეეხება, შეიძლება ითქვას, რომ დღეს ღრუბელი აღარ განიხილება როგორც მხოლოდ პასიური საშუალება და სივრცე, რომელშიც სანარმოები თანამშრომლობენ, ის ეტაპობრივად ხდება სტრატეგიის შემუშავების პროცესის ნაწილი.

დიდი რაოდენობის დისტანციური ბრძანებების მეშვეობით სტრატეგიული პლატფორმები და ინსტრუმენტები იძლევა საშუალებას, რომ კომპანიებმა გააერთიანონ თავიანთი ოპერაციები ერთი ქუდის ქვეშ. ეს ნიშნავს იმას, რომ დავალებებისა და მიზნების თვალყურის დევნების პროცესი ღრუბელში ადვილად სამართავი იქნება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს თანამშრომლების ანგარიშვალდებულებას და დაეხმარება კომპანიებს თავიანთი მიზნების მოქმედებებთან თანხვედრა მოახდინონ. ასეთი აპლიკაციებისა და საშუალებების გამოყენება, რომლებიც ძირითადად სტრატეგიების ჩამოყალიბებისათვის არის შექმნილი, შეცვლის მთლიანად აღქმას, თუ როგორ ახორციელებენ სანარმოები თავიანთ გეგმებს გაცილებით ეფექტურად უფრო მოკლე დროში და უფროი ხარისხიანად.

ღრუბლოვანი სისტემების ფინანსური მენეჯმენტი

ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი სანარმოების მიერ ცვლილებების განხორციელების კუთხით არის უსაფრთხოების საკითხი. არ არსებობს არანაირი სრულყოფილი დაცვითი სისტემა, თუმცა ღრუბლოვანი ტექნოლოგიების წინსვლის პარალელურად, უსაფრთხოების სისტემაც შთამბეჭდავად იხვეწება, ეს კი წამახალისებელი იქნება კომპანიებისათვის, რომ დაინყონ საკუთარი ფინანსების მართვა ღრუბელში და დანერგონ “Paperless” პროცესი, რისი კარგი მაგალითიც არის ესტონეთი. ევროკავშირმა „ესტონური სასწაული“ უწოდა ამ სუპერთანამედროვე ინოვაციების დანერგვის შედეგებს.

შევხები სერვერის როლის შემცირებას – მარტივი სისტემებიდან ღრუბლოვანი ტექნოლოგიები იქცა ჰიბრიდულ და მრავალღრუბლოვან საშუალებებად, ეს კი დაეხმარა კომპანიებს, რათა არ შეენწყვიტათ ფუნქციონირება პანდემიის პერიოდში და შეენარჩუნებინათ პოდეუტიულობა. სერვერების ინფორმაციის დაცულობა და ტევადობა ლიმიტირებულია, არაა ბოლომდე უსაფრთხო, ღრუბლოვანმა სისტემამ უსაფრთხოების ხარისხის ამაღლებისა და დამატებითი სერვერების საჭიროების გაუქმებით სხვა კომფორტი მიანიჭა ბიზნესს.

ათწლეულების მანძილზე მონაცემთა მართვა არსებითად გულისხმობდა მათ შეგროვებას, შენახვას და პერიოდულ წვდომას. ბევრი რამ შეიცვალა ბოლო წლებში, რამდენადაც კომპანიები ეძიებენ სხვადასხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომლის ამოღებაც მონაცემთა ბაზებიდან შესაძლებელია. ამასთან დაკავშირებით, მონაცემთა ანალიტიკის ფუნქცია სწორედ ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით, როგორც არის ხელოვნური ინტელექტი (AI) და მანქანური სწავლება (ML) გახდა აუცილებელი, შემდგომ წლებში მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება. სანარმოებმა სწრაფად უნდა მოახდინონ მონაცემების გაანალიზება, განსაკუთრებით კი არასტრუქტურირებული მონაცემების და ამოარჩიონ ის, რომელიც გამოსადეგი იქნება ბიზნეს გადაწყვეტილების მისაღებად. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი, შეიქმნას მონაცემთა თანამედროვე გარემო. ეს, თავის მხრივ, იწვევს ახალი დარგების გაძლიერებას, როგორცაა მონაცემთა ბაზების მეცნიერება – Data base science. დიდია მოთხოვნა ამ დარგის სპეციალისტებზე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.

ე.წ. „მონაცემთა ტბები“-Data Lakes სულ უფრო მეტად ორგანიზებული და მოთხოვნადი ხდება, მაგრამ არასტრუქტურირებული მონაცემების ხარვეზი ჯერ კიდევ არსებობს.

კორპორატიული მონაცემების ანალიზისადმი სადღეისოდ ორი მიდგომა არსებობს – პირველი მდგომარეობს ბიზნეს აპლიკაციებიდან მონაცემების მიღებაში, როგორცაა CRM და ERP და შემდეგ საცავში მათ გადატანაში BI ინსტრუმენტებში გამოსაყენებლად ისეთი ტექნოლოგიების დახმარებით, როგორცაა Snowflake. მონაცემთა სწორედ ეს საცავებია გადატანილი ახლა ღრუბლოვან სისტემაში. მეორე მიდგომა გამოიხატება ნებისმიერი დაუმუშავებელი მონაცე-

მის აღებასა და ყოველგვარი წინასწარი დამუშავების გარეშე „Data Lakes“-ში გადატანაში. ეს გარკვეულწილად მიმზიდველია, რადგან გამოდის, რომ „მონაცემთა ტბებში“ შესაძლებელია ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის გადატანა. შესაძლოა ითქვას, რომ Amazon S3-იც გახდა უდიდესი „მონაცემთა ტბა“. პრობლემა ისაა, რომ ზოგიერთი ტიპის მონაცემი უფრო ადვილად დასამუშავებელია, ვიდრე სხვა. მაგალითად, ჟურნალის ფაილები, გენომიკის მონაცემები, აუდიო, ვიდეო, გრაფიკული ფაილები და ა.შ. არც ისე კარგად ჯდება მონაცემთა საცავებში, რამდენადაც მათ არ აქვთ თანმიმდევრული სტრუქტურა, ეს კი ართულებს მათ ძიებას. ამიტომაც, „მონაცემთა ტბები“ საბოლოოდ იქცევა ქაობად, სადაც საკმაოდ რთულია იმ ინფორმაციის მოძიება, გაფილტვრა და გაანალიზება, რაც რეალურად გვჭირდება.

ამ ეტაპზე მთავარი ტრენდი არის გარკვეული სემანტიკური თანმიმდევრულობის ნახევრად სტრუქტურირებული მონაცემების შექმნისათვის „მონაცემთა ტბის სახლების“ („Data Lake Houses“) გაჩენა, რომელთა პოპულარიზაციაც განაპირობა DataBricks-მა. მაგალითად, Excel ფაილი მონაცემთა ბაზის მსგავსია, თუმცა ეს რეალურად ასე არ არის, ამიტომ „Data Lake House“-ები იყენებენ ნახევრად სტრუქტურირებული ინფორმაციის თანმიმდევრულ სქემას, რომელიც მართალია მუშაობს CVS და Parquet ფაილებისათვის და სხვა ნახევრად სტრუქტურირებული ინფორმაციისათვის, თუმცა მაინც არ გვევლინება არასტრუქტურირებულ მონაცემთა დახარისხების პრობლემის გადამწყვეტ ინსტრუმენტად, რამდენადაც არ გააჩნია რაიმე სრულყოფილი საერთო ორგანიზაცია. არასტრუქტურირებული მონაცემების ინდექსირებისა და საერთო მონახაზის გასაკეთებლად საჭიროა რაიმე საშუალების გამოძებნა, რათა მოხდეს მათი ოპტიმიზაცია მაღალხარისხიანად გაანალიზებისათვის, ანალიტიკისათვის არასტრუქტურირებული მონაცემების ამგვარი ოპტიმიზაცია კი ინოვაციების უდიდეს სფეროს წარმოადგენს, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ დღეს მსოფლიოში არსებული ინფორმაციის მინიმუმ 80% არასტრუქტურირებულია.

სამოქალაქო განათლება მომდევნო წლებში სულ უფრო და უფრო აქტუალური მიმართულება იქნება. მონაცემთა მეცნიერების დემოკრატიზაციის მიზნით, ღრუბლოვანი სერვისის პროვაიდერები ამუშავებენ და უშვებენ უფრო და უფრო მეტ მანქანური სწავლების აპლიკა-

ციას და სხვა სპეციალიზებულ ინსტრუმენტებს, როგორცაა დომენის სპეციფიკური მანქანური სწავლების სამუშაო ნაკადები კონკრეტული სფეროებისათვის. ეს მნიშვნელოვანი ტენდენციაა, რადგან კოდირებისთვის საჭირო ცოდნის დონე დროთა განმავლობაში შემცირდება. ეს მანქანურ სწავლებას უფრო აქტუალურს გახდის და უფრო მეტი სამუშაო ადგილი იქნება, ბევრი ამ სფეროში მაღალკომპეტენტური სუბიექტი იმუშავებს ცენტრალურ IT დეპარტამენტებში, ზოგი კი ბიზნეს ქვედანაყოფებში. Amazon Sagemaker Canvas არის ერთ-ერთი მაგალითი დაბალი კოდირების ან არაკოდირების ინსტრუმენტებისა, რომელსაც ამ ეტაპზე ვხედავთ. მართალია სამოქალაქო განათლება ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა, თუმცა საბაზრო მოთხოვნების თანახმად ის იქნება უკიდურესად აქტუალური მონაცემთა სფეროში მომდევნო წლების განმავლობაში. მონაცემთა სფეროს პლატფორმები აადვილებს მომხმარებლის მიერ სასურველი ინფორმაციის მოძიების პროცესს, რაც კიდევ უფრო გაზრდის მათ პოპულარობას.

"სწორი მონაცემების" ანალიტიკა გადააჭარბებს "Big Data" ანალიტიკას, რომელიც ძალიან დიდი ხდება და ქმნის ინფორმაციულ ჭაობს და ხდება ძნელი გამოსაყენებელი. საჭირო მონაცემების ზუსტი პოვნა ადვილზე, მიუხედავად იმისა, თუ სად მოხდა მათი პირველადი გენერირება და გამოყენება, ანალიტიკისათვის გარდამტეხი მომენტი, რადგანაც ეს დაზოგავს დიდ დროსა და ზედმეტ მექანიკურ ძალისხმევას, გაამარტივებს რელევანტური ანალიზის გაკეთებას. ამრიგად, "Big Data" მონაცემების ნაცვლად, ახალი ტენდენცია იქნება ეგრეთ წოდებული „სწორი მონაცემების“ მაღალხარისხიანი ანალიტიკის განვითარება.

„ადვილზე“ მონაცემთა ანალიტიკა ხდება დომინანტური. ანალიტიკოსთა აზრით, „მონაცემთა ტბები“ – Data Lakes იქნება საბოლოო ადგილი, სადაც ინფორმაცია შეგროვდება და დამუშავდება სხვადასხვა კვლევებისთვის. მონაცემები გროვდება ყველგან: პერიფერიებზე, ღრუბელზე, ადგილობრივ სერვერებზე. ამ კუთხით, რიგ შემთხვევებში საჭიროა მონაცემების დამუშავება და ანალიზი იქვე, სადაც ისინი არის თავმოყრილი. ანუ მოიძებნოს მონაცემები ზღვარზე, მათი უმეტესი ნაწილი ადგილობრივად დამუშავდეს, ღრუბელში გაგზავნამდეც კი. უფრო დიდი და რთული პროექტებისთვის შეიძლება გამოყენებულ

იქნას ღრუბლოვანი ანალიტიკური საშუალებები. მომავალში სულ უფრო მეტად გაჩნდება "პერიფერიული ღრუბლები", რომლებშიც გამოთვლა ღრუბელში გაგზავნის ნაცვლად მოხდება მონაცემთა ცენტრის ზღვარზე. მონაცემთა შენახვისგან დამოუკიდებელი მენეჯმენტი იქნება მონაცემთა თანამედროვე ქარხნის კრიტიკული კომპონენტი

მონაცემთა ქარხანა თავის მხრივ არის არქიტექტურა, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა ხილვადობას და გადაადგილების, რეპლიკაციის და მათზე წვდომის უნარს ჰიბრიდულ საცავშიც და ღრუბლოვან რესურსებშიც. თითქმის რეალურ დროში ის მონაცემთა მფლობელებს აძლევს უფლებას გააკონტროლონ მონაცემთა მდებარეობა ანალიტიკის ჩათვლით, ღრუბლებში და საცავში, რათა ის საჭირო დროს იყოს საჭირო ადგილას. IT და შენახვის მენეჯერები აირჩევენ მონაცემთა ქარხნის არქიტექტურას, რათა გაათავისუფლონ ინფორმაცია საცავიდან და უზრუნველყონ მონაცემთა ბაზაზე ორიენტირებული მენეჯმენტი. მაგალითად, ყველა სამედიცინო სურათის ერთ ქსელურ საცავში შენახვის ნაცვლად, მონაცემთა მცველებს შეუძლიათ გამოიყენონ ანალიტიკა და მომხმარებლის გამომხაურება ამ ფაილების სეგმენტირებისთვის, მაგალითად, სამედიცინო სურათების კოპირებით მანქანური სწავლების წვდომისთვის კლინიკურ კვლევებში ან კრიტიკული ინფორმაციის გადატანით უცვლელ ღრუბლოვან საცავში.

Multicloud სისტემები განვითარდება მონაცემთა სხვადასხვა სტრატეგიით. დღეს ბევრი ორგანიზაცია იყენებს ჰიბრიდულ ღრუბლოვან გარემოს, სადაც მათი მონაცემების უმეტესი ნაწილი ინახება და სარეზერვო ასლები ინახება კერძო მონაცემთა ცენტრებში სხვადასხვა გამყიდველის სისტემის გამოყენებით. რამდენადაც არასტრუქტურირებული (ფაილის) მონაცემების რაოდენობა იზრდება, ღრუბელი გამოიყენება როგორც მეორადი ან მესამეული შენახვის დონე. შეიძლება ძნელი იყოს ყველა ამ განსხვავებული სისტემის დანახვა ხარჯების გასაკონტროლებლად, შესრულების უზრუნველსაყოფად და რისკის მართვის მიზნით. შედეგად, IT Leader – ებს ესმით, რომ ღრუბელში და შიდა გარემოში მონაცემებიდან სარგებლის ამოღება რთულია. Multicloud სტრატეგიები საუკეთესოდ მუშაობს, როდესაც ორგანიზაციები იყენებენ ცალკეულ ღრუბლებს სხვადასხვა შემთხვევებისა და მონაცემთა ნაკრებისთვის. თუმცა, ეს კიდევ ერთ პრობლემას აჩენს:

ინფორმაციის გადატანა ძალიან ძვირია, კანონმდებლობითაც რეგულირდება (მაგ. ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით) თუ შემდგომში გვჭირდება მონაცემების გადატანა ერთი ღრუბლიდან მეორეზე. უფრო თანამედროვე კონცეფცია არის გამოთვლების გაკეთება ერთ ადგილზე არსებულ მონაცემებზე. ასეთი ცენტრალური ადგილი შესაძლოა იყოს co-location centre-ები, კოოპერირებული ლოკაციის ცენტრები, ე.წ. „მონაცემთა ბაზების ოტელი-გადამტანი“ პირდაპირი კავშირებით ღრუბლოვანი სერვისის პროვაიდერებთან. ასეთი თანალოკაციის ცენტრები გვევლინება ზოგჯერ სერვერების ფიზიკური გაგრძელების, კვების, დაცვის მთლიან სისტემადაც კი. ზოგჯერ კი დამკვეთებთან ციფრული თუ ფიზური სერვისების მისაწოდებელ არხებადაც.

ბიზნესი ავლენს მზარდ მოთხოვნას მონაცემთა მართვის სტრატეგიების განსახორციელებლად, რაც მათ საშუალებას მისცემს ინფორმაციის ამხელა ოკეანიდან მიიღონ კონკრეტულად მათთვის სასარგებლო ინფორმაცია ბიზნეს გადაწყვეტილებების მისაღებად. ამ ძალისხმევის ცენტრში იქნება ანალიტიკა, ასევე ღია და სტანდარტიზებული მონაცემთა ქარხნების შექმნა, რაც საშუალებას მისცემს ორგანიზაციებს გააკონტროლონ მთელი ეს ინფორმაცია ანალიზისა და პერსპექტივების დასაგეგმად. საქართველო არ უნდა ჩამორჩეს სამყაროში მიმდინარე ინოვაციურ პროცესებს, ახალი დარგების შესასწავლად მეტი პლატფორმის მობილიზებაა საჭირო. სასურველია მეტი პროფესიული სასწავლებელი დააფინანსოს სახელმწიფომ, რათა ახალგაზრდებმა შეძლონ დაეუფლონ უახლეს 21-ე საუკუნის მოთხოვნად პროფესიებს. უნივერსიტეტის საბაკალავრო სისტემები ვერ უზრუნველყოფს ამ ახალი დარგების დროში სწრაფად შესწავლას. სანამ სტუდენტი ოთხი წელიწადი სწავლობს, ის ცოდნა უკვე ენტროპიას განიცდის, ადარაა რელევანტური. საბაზისო განათლების შემდეგ ეტაპზე ამ ტიპის პროფესიების ათვისება კოლეჯებში გზას გაუხსნის ახალგაზრდებს, უფრო გათვითცნობიერდებიან, რომ მოთხოვნადი დარგები შეისწავლონ და თვითონვე გახდნენ გზის გამკვალავი შემდეგი თაობისთვის. ამერიკის სილიკონის ველთან თანამშრომლობით ქართული ტექნოპარკი მოახერხებს ახალგაზრდების დაინტერესებას, მოზიდვას და ჩართვას ინოვაციური სტარტაპების დაფუძნებაში. ეს ყოველივე უნდა განხორციელდეს

სახელმწიფოს პატრონაჟითა და ვენჩურული ფონდების მხარდაჭერით, რომლისთვისაც აუცილებელია რეგიონში მშვიდობისა და დასავლურ სტრუქტურებთან მჭიდრო ინტეგრაციის ვექტორის შენარჩუნება.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ტრანსფორმაცია, ღრუბლოვანი სისტემა, დისტანციური მუშაობა, ღრუბლოვანი ნაკადი, ღრუბლოვანი სისტემებით მხარდაჭერილი ნივთების ინტერნეტი, Enterprise Cloud სტრატეგიები, სტრიმინგი, სმარტ სახლები, დიჯიტალიზაცია, კოოპერირებული ლოკაციის ცენტრი, მონაცემთა ქარხნები, Multicloud სისტემები, „მონაცემთა ტბები“, ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება

ლიტერატურა:

1. <https://cloud.netapp.com/blog/multicloud-hybrid-architectures-benefits-and-challenges>
2. <https://www.hbo.com/silicon-valley>
3. <https://www.tripsavvy.com/science-and-tech-things-to-do-in-silicon-valley-2993766>
4. <https://www.goodfirms.co/cloud-computing-companies/usa>
5. <https://www.accenture.com/us-en/cloud/insights/cloud-computing-index>
6. *Business in the Cloud; 2011. WHAT EVERY BUSINESS NEEDS TO KNOW ABOUT CLOUD COMPUTING; Michael Hugos; Derek Hultzky; Publisher:Wiley; Language: English; Pages: 205 / 226; ISBN 10: 0470616237; ISBN 13:9780470616239; File: PDF, 1.82 MB*
7. <https://blog.back4app.com/top-cloud-providers-in-europe/>
8. <https://www.theatlantic.com/ideas/archive/2022/01/scientific-funding-is-broken-can-silicon-valley-fix-it/621295/>

საქართველოში მოგზაური საგანმანათლებლო ტურისტების მოტივაციები

ანა გვარამაძე

დოქტორი, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
ავდიჩიხეული ასისტენტი გუჩიშვილის მიმართებით

უცნობი ადგილების მონახულების სურვილი ადამიანებს უბიძგებს იმოგზაურონ ახალი მიმართულებებით და აღძრავს მათ სურვილს ახალი ატრაქციების მონახულებისკენ. მოგზაურობის ქცევის ცოდნამ შეიძლება ხელი შეუწყოს მარკეტინგის და პროდუქტის დაგეგმვასა და განვითარებას, რამაც შეიძლება გაზარდოს ტურისტული პროდუქტებისა და ვიზიტორების რაოდენობა. ტურისტები მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ სხვადასხვა ტურისტული მიმართულებების შესწავლის ახალ გზებს. ამიტომ, სწავლის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად იზრდება. შესაბამისად, იცვლება მოტივაცია, რომელიც გავლენას ახდენს მოგზაურობის გადაწყვეტილების მიღებაზე.

წლების განმავლობაში მკვლევარებმა ემპირიულად შეისწავლეს მოგზაურობის მოტივაციის განმსაზღვრელი ფაქტორები და გაითვალისწინეს მოგზაურობის მოტივაციის მრავალფეროვანი მიდგომები და პერსპექტივები. მოგზაურობის მოტივაციის დინამიურმა ბუნებამ განაპირობა კვლევის ფართო სპექტრი ამ სფეროში. იმისათვის, რომ ტურიზმის ინდუსტრიამ შეინარჩუნოს ან გააუმჯობესოს სტატუსი კვო, ეს დამოკიდებულია ტურისტების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც აისახება მოგზაურობის ქცევაზე.

ნაშრომის მიზანი იყო თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევით წარმოეჩინა მოტივაციური ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ საზღვარგარეთ სწავლის მსურველთა გადაწყვეტილებებს. არსებული კვლევების მიხედვით, გამოიკვეთა მნიშვნელოვანი მოტივაციები და ჩატარდა გამოკითხვა საერთაშორისო სტუდენტებში, რომლებიც საქართველოში ჩამოდიან აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში. კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ჩამოსული საერთაშორისო სტუდენტებისთვის ამ ეტაპზე განათლების მიღება ძირითადად მედიცინის მიმართულებითაა საინტერესო. საგანმანათლებლო ტურისტები საქართველოს ირჩევენ შემდეგი ძირითა-

დი მიზეზების გამო: უსაფრთხოება და პოლიტიკური სტაბილურობა, სწავლისა და ცხოვრების ღირებულება, სწავლის ხარისხი და ხანგრძლივობა.

არსებული კვლევა იძლევა მტკიცებულებას, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტუდენტების მოტივაციის შესახებ არსებულ ლიტერატურას, ვინაიდან კვლევაში გამოვლენილი მოტივაციური ფაქტორები იდეოლოგიურად მსგავსია არსებულ კვლევებთან. სტუდენტები მოგზაურობენ საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, რაც უნიკალური შესაძლებლობაა გაეცნონ სხვა ეროვნებებს მულტიკულტურულ ატმოსფეროში. გარდა მოგზაურობის საყოველთაოდ აღიარებული სარგებლისა, საგანმანათლებლო მოგზაურობა აძლიერებს უნარებს, რომლებიც განსაკუთრებით ვითარდება ამ აქტივობის შედეგად. კვლევის შედეგები საინტერესო იქნება განათლებისა და ტურიზმის სფეროში მომუშავე პირებისთვის ან ორგანიზაციებისთვის.

საკვანძო სიტყვები: საგანმანათლებლო ტურიზმი, საერთაშორისო სტუდენტები, მოგზაურობის მოტივაცია, COVID-19

ღვინის წარმოების განვითარების პერსპექტივები საქართველოში

*ირმა მოღაშხია
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
აფილირებული ასოციირებული პროფესორი*

სტატიაში განხილულია საქართველოში ღვინის წარმოების შესაძლებლობები და მისი განვითარების ტენდენციები. გაანალიზებულია მსოფლიო ღვინის ბაზარზე არსებული კონკურენციის დონე და განსზღვრულია მასში საქართველოს ადგილი. შეფასებულია ყურძნის ნატურალური ღვინოების საექსპორტო პოტენციალი და მისი ზრდის პერსპექტივები საერთაშორისო ბაზარზე, კერძოდ, ევროკავშირის, აზიისა და დსთ-ს ქვეყნებში. ღვინის ბაზრის საექსპორტო დი-

ნამიკის ანალიზის, მევენახეობა – მეღვინეობის დარგში არსებული მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე გამოვლენილია საქართველოს პოტენციური მევენახეობის განვითარების თვალსაზრისით. დადგენილია, რომ ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობები არამარტო ტრადიციული მალახარისხოვანი ღვინოების, არამედ მსოფლიო ღვინის ბაზარზე მოთხოვნადი პროდუქციის (მაგ., პორტვინის, ხერესის, მალაგას ტიპის სასმელების) წარმოების საშუალებას იძლევა. ასევე განიხილილია მსოფლიო ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და პოტენციური მარკეტინგული აქტივობების განხორციელების შესაძლებლობები.

საკვანძო სიტყვები: ღვინის წარმოება, ექსპორტი-იმპორტი, ღირებულებათა ჯაჭვი, საექსპორტო პოტენციალი, ღვინის ბაზრის დივერსიფიკაცია

სამართლებრივი მოდელი

სასამართლოს როლი, რეაბილიტაციის რეჟიმის განსხვავების წარმოებაში მიღებისას

მერი კეთილაძე
 კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორი

ხელმოწერა – დია ჟილაშვილი
 სამართლის დოქტორი, პროფესორი

საქართველოში რეაბილიტაციის რეჟიმის დამკვიდრება „გაკოტრების საქმეთა წარმოების“ შესახებ 1996 წლის კანონში 2001 წლის ცვლილებების შედეგად მოხდა. ამის შემდეგ იყო „გადახდისუნარობის საქმის წარმოების“ 2007 წლის კანონი. ხოლო, 2021 წელს მიღებულ იქნა და პირველ აპრილს შევიდა ძალაში „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების“ შესახებ ახალი კანონი, რომელიც წინამორბედებთან შედარებით განსხვავებულ რეგულაციებს გვთავაზობს საკონფერენციო თემასთან დაკავშირებით.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვეულებრივ, სამოქალაქო საქმეების განხილვის პროცესში სასამართლო აქტიურადაა ჩართული. ვალაუვალობის დარგში კი მისი უფლებამოსილებები განსხვავებული და მცირეა. სამოქალაქო სამართლის წარმოებისაგან განსხვავდება განაპირობებულია ვალაუვალობის დარგის სპეციფიურობით. განსხვავებულობა თავს იჩენს განცხადების შედგენიდან დაწყებული, სასამართლოს მიერ მის წარმოებაში მიღებამდე და რეაბილიტაციის რეჟიმის გახსნის შესახებ განჩინების გამოტანამდე.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების 2007 წლის კანონით სასამართლო რეაბილიტაციის რეჟიმის წარმოებაში მინიმალურად იყო ჩართული. ხოლო, დღეს მოქმედი, 2020 წელს მიღებული რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონით, მისი უფლებამოსილებები კიდევ უფრო შორდება სამართლის ნორმებით იმპერატიულ დადგენას.

შესაბამისად, საკონფერენციო თემაში განხილულია, სასამართლოს როლი და უფლებამოსილებები რეაბილიტაციის რეჟიმის განცხადების წარმოებაში მიღების დროს. ნაშრომში შედარებული და შეფასებულია სასამართლოს ჩართულობა ძველი და მოქმედი კანონის მიხედვით. ასევე, განხილულია ის დადებითი და უარყოფითი გავლენები, რაც თან ახლავს ახალი კანონით გათვალისწინებულ რეგულაციას.

საკვანძო სიტყვები: ვალაუვალობა,
გადახდისუუნარობა, კრედიტორთა კოლექტიური
დაკმაყოფილება

ალიმენტვალდებულ პირთა უფლება-მოვალეობები და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

ლია ჭილაშვილი

სამაჩთღის დოქტორი, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის
ადიტიუბული პროფესორი, სამაჩთღის მეცნიერთა კავშირის წევრი

საოჯახო სამართალს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართულ კანონმდებლობაში. დიდია მისი როლი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი განვითარების საქმეში. აღნიშნული სამართლის ერთ-ერთი გამორჩეული საკითხია "პასუხისმგებელ პირთა საალიმენტო უფლება-მოვალეობები საოჯახო სამართალში".

თავდაპირველად ვისაუბრებთ უშუალოდ ალიმენტსა და მისი წარმოშობის სამართლებრივ ასპექტებზე. ასევე შევეხებით მშობლების საალიმენტო ვალდებულებებს შვილების მიმართ. ნაშრომში მიმოვიხილავთ ასევე მშობლების მიერ შვილების რჩენის მოვალეობას და ალიმენტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

მოცემულ ნაშრომში ასევე განვიხილავთ მშობლებისა და შრომისუნარო შვილების რჩენის ვალდებულებებს. აქვე საუბარი გვექნება საალიმენტო ვალდებულების ოდენობაზე, ალიმენტის გადახდისა და გადახდევინების წესზე, მნიშვნელოვანია, ვახსენოთ სახელმწიფოს როლი მშობლის მიერ საალიმენტო მოვალეობის შეუსრულებლობისას, საინტერესოა რა ბერკეტები გააჩნია და რა ღონისძიებებს მიმართავს სახელმწიფო ასეთ შემთხვევებში.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში კი საუბარია საალიმენტო შეთანხმების მხარეებზე თუ ვინ შეიძლება იყვნენ ისინი, რა უფლება-მოვალეობები გააჩნიათ მათ, ასევე რა შემთხვევაში შეიძლება შეწყდეს, შეიცვალოს ან ბათილად გამოცხადდეს საალიმენტო შეთანხმება.

მიგვაჩნია, რომ კვლევითი მეთოდების გამოყენებით ნაწილობრივ მაინც შევძლებთ ყურადღება გავამახვილოთ იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებსაც ხშირად ვხვდებით პრაქტიკაში.

საკვანძო სიტყვები: ალიმენტი; ალიმენტის
გადახდევინების წესი, სარჩოს მიმღები,
სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

მოქალაქეობის კანონში მოცემულ ზოგირთ ტერმინთა განმარტების შესახებ

არჩილ ღორია

სამახტდის დოქტოხი, თბიღისის ჰუმანიტაჰუდი სასწავლო უნივეხსიღეღის
პროფესოხი, საქაჰთვეღოს გექნიკუხი უნივეხსიღეღის პროფესოხი,
აღმოსავღეთ ევოპის უნივეხსიღეღის პროფესოხი,
საქაჰთვეღოს სამახტდის მეცნიეხთა კავშიხის წევიხი
archiloria@gmail.com

მოქალაქეობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტია. იგი, იმავდროულად, ადამიანის უფლებათა საც წარმოადგენს, რომელიც ძირითად უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება. ბოლო წლებში მსოფლიოში მოსახლეობის მიგრაციული პროცესების გააქტიურებამ მოქალაქეობის საკითხები კიდევ უფრო აქტუალური გახადა.

მიუხედავად მთელი რიგი პოზიტიური ცვლილებებისა, საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანულ კანონში მაინც რჩება ცალკეული შეუსაბამოები და ხარვეზები. ეს შეეხება კანონში მოცემულ ზოგი ცნების თუ ტერმინის განმარტებასაც, რომელთაგან რამდენიმე მათგანზე ამჟამად შევიჩრდებით.

ორგანული კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში მოცემულია მოქალაქეობის ცნება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მოქალაქეობა არის საქართველოსთან პირის სამართლებრივი კავშირი. 2014 წლამდე არსებული ცნებისგან განსხვავებით, აქ ამოღებულია მინიშნება პოლიტიკურ კავშირზე, რაც სავსებით სწორია, რადგან სამართლებრივი გარკვეულწილად პოლიტიკურსაც ნიშნავს, რადგან სამართალი თავისი არსით პოლიტიკური ნების შედეგადაა წარმოქმნილი. თუმცა, სამართლებრივი კავშირი სახელმწიფოსთან შეიძლება ჰქონდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირსაც. ცნობილია, რომ საქართველოში მცხოვრები უცხოელებიც სარგებლობენ ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი ცალკეული უფლებებით, აქვთ შესაბამისი მოვალეობები და ეკისრებათ პასუხისმგებლობა სამართალდარღვევებისთვის. ამდენად, საჭიროა დაზუსტდეს, რა სახის სამართლებრივ კავშირზეა საუბარი მოქალაქესთან

მიმართებით და რა განასხვავებს მას უცხოელებთან არსებული სამართლებრივი კავშირისაგან.

ამავე კანონის მე-2 მუხლში მოცემულია ამ კანონის მიზნებისათვის მასში გამოყენებული ზოგიერთი ტერმინის განმარტება.

მაგალითად, „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოში უწყვეტად ცხოვრება არის „პირის საქართველოში ცხოვრება, თუ მას საქართველოს ტერიტორია წლის განმავლობაში საერთო ჯამში 90 დღეზე მეტი ვადით (ამ ვადაში არ ითვლება საქართველოს ტერიტორიის დატოვება სწავლის მიზნით 2 წლამდე ვადით და მკურნალობის მიზნით) არ დაუტოვებია. აქ თავს იჩენს ერთგვარი უზუსტობა. როგორც ვხედავთ, მუდმივად ცხოვრების ფაქტის დადგენისთვის გამოიყენება დროის ერთწლიანი მონაკვეთი. ამდენად, გაუგებარია, ტექსტის ჩანართის შინაარსი, კერძოდ, როგორ შესძლებს პირი ერთი წლის განმავლობაში ორი წლით საქართველოს დატოვებას? ან 2 წელზე მეტი ვადით სასწავლებლად გამგზავრება რატომ არ ითვლება საპატიო მიზეზად?

მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში მოცემულია უცნობი მშობლის განმარტება და მითითებულია, რომ უცნობ მშობლად მიიჩნევა „მშობელი, რომლის ვინაობა ან/და მოქალაქეობრივი კუთვნილება უცნობია.“ თუ მშობლის მოქალაქეობა გაურკვეველია, მაგრამ ვინაობა ცნობილია, რატომ უნდა ჩაითვალოს იგი უცნობად? ხომ არსებობენ აპატრიდები, პირები, რომელთაც არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა არ გააჩნიათ, მაგრამ ამიტომ უცნობებად არ ითვლებიან.

დასკვნა

აღნიშნულ პრობლემათა თავიდან აცილების მიზნით საჭიროა გარკვეული ცვლილებები განხორციელდეს და კიდევ უფრო დაიხვეწოს ეროვნული კანონმდებლობა. კერძოდ:

კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტი, სასურველია, ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად „საქართველოს მოქალაქეობა არის პირის სამართლებრივი კავშირი საქართველოს სახელმწიფოსთან, რომელიც ორივე მხარისთვის სრული მოცულობით წარმოშობს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს.“

მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტიდან ამოღებული იქნეს ფრჩხილებში მითითებული ჩანართი და გაკეთდეს შენიშვნა, რომ სასწავლებლად

ან სამკურნალოდ ქვეყნის გარეთ ყოფნის პერიოდი ჩაითვლება სა-
პატიოდ.

მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „ან/
და მოქალაქეობრივი კუთვნილება.“

საკვანძო სიტყვები: მოქალაქეობა, ბინადრობა, ვადა,
მშობელი, ვინაობა

აქტივების აღდგენისა და მოქიების საერთაშორისო პრაქტიკა

*ქრისტინე ცირეკიძე
ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მაგისტრანტი*

*ხელმძღვანელი – თომას მარია კროსმანი
სამახთდის დოქტორი, პოლფესორი*

დღევანდელ რეალობაში საკმაოდ ხშირია შემთხვევები როცა კრიმინალური ენერგიის მატარებელი პირები ცდილობენ ისარგებლონ სხვადასხვა იურისდიქციებს შორის არსებული ხარვეზებით და დამალონ საკუთარი კრიმინალური საქმიანობის შედეგად მიღებული უკანონო შემოსავლები, თაღლითობით გამოწვეული ზიანის წარმატებით აღდგენა კი მოითხოვს დიდ ენერგიას ერთგულებასა და რესურსების სწორად გადანაწილებას. გლობალიზაციისა და თანამედროვე საკომუნიკაციო ინსტრუმენტების ეპოქაში, სადაც აქტივებისა და სახსრების მობილურობა ინდივიდუალურ დამნაშავეებს საშუალებას აძლევს მარტივად გადაიტანონ თავიანთი უკანონო შემოსავალი მთელს მსოფლიოში, ეს კიდევ უფრო ართულებს მათი მსხვერპლებისთვის მოპარული სახსრებისა და აქტივების კვალის პოვნას და შესაბამისად მათ დაბრუნებას.

საერთაშორისო საზოგადოებამ უკვე აღიარა აქტივების მოკვლევისა და აღდგენის მნიშვნელობა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ განიხილავს მოპარული

ქონების დაბრუნებას თავის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპად და მოითხოვს წევრმა სახელმწიფოებმა უზრუნველყონ ფაქტობრივი და სამართლებრივი ბაზა აქტივების ეფექტური ტრანსსასაზღვრო აღდგენისათვის. ევროკავშირმა კი შემოიღო რამდენიმე სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს აქტივების აღდგენისა და მიკვლევის გამართლებას, რომელიც მიჩნეულია სტრატეგიულ პრიორიტეტად მისი წევრი სახელმწიფოების იურისდიქციის ფარგლებში.

აღნიშნული ნაშრომი განიხილავს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გატარებულ ღონისძიებებსა და მათ მნიშვნელობას აქტივების აღდგენის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: აქტივების მოძიება, აქტივების ეფექტური ტრანსსასაზღვრო აღდგენა, საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი პრაქტიკა

ჯარიმის, როგორც ალტერნატიული სასჯელის სახის იურიდიული ბუნება ქართულ სისხლის სამართალში

მარიამ გელაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი; სამახიდის სადოქტორო პიოგჩამის დოქტორანტი

ხელმძღვანელი – გია მეფარიშვილი

სამახიდის დოქტორი

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ჯარიმას, როგორც სასჯელის ალტერნატიულ სახეს და მისი გამოყენების სამართლებრივ პრობლემებს. მასში განხილულია ჯარიმის, როგორც ალტერნატიული სასჯელის გამოყენების თეორიული და პრაქტიკული პრობლემები. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ ჩვენ გვიხდება სასჯელის ამ სახის პრაქტიკული გამოყენების კომპლექსური შესწავლა, ამასთან, წინა პლანზეა წამოწეული ის საკითხები, რომელთა შესახებ ქართული იურიდიული ლიტერატურა მეტად მწირია. გამომდინარე აქედან, ნაშრომში შე-

მოთავაზებულია მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის დახვეწა – სრულყოფის საკითხები, რომელში განვითარებული მსჯელობა იძლევა საფუძველს, რომ კიდევ ერთხელ გაანალიზდეს სასჯელის ეს ალტერნატიული სახე და სრულყოფილი იქნას მისი პრაქტიკაში გამოყენების მიდგომები.

საკვანძო სიტყვები: სასჯელის სახე, ჯარიმა, საკანონმდებლო ბაზა, სასამართლო პრაქტიკა, შედარებით – სამართლებრივი ანალიზი

„მედია სამართალში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრობლემატურობა და გამოსავლის თავისუფლების ჩარჩო“

მანანა ოთარაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
უფიციური ფაკულტეტის მესამე კუხის სტუდენტი
manana.otarashvili508@law.tsu.edu.ge*

თეზისები:

- 1) მედიის როლი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვასა თუ დარღვევაში;
- 2) პირადი ცხოვრებისა და საკითხების ამსახველი ინფორმაციის გამოქვეყნების წინაპირობები:
 - ▲ საზოგადოებრივი ინტერესი-ჟურნალისტმა აუცილებლად უნდა გაანალიზოს საჯარო ინტერესის მიმართება, კერძოდ იგი პირადი ინფორმაციის გასაჯაროების მიმართ არის თუ თავად პირის ცხოვრების მიმართ, ვინც მასალაში არის ასახული, ვინაიდან აღნიშნული კონსტიტუციური უფლების ხელყოფა მხოლოდ პირველ ვარიანტში გამართლდება.
 - ▲ თანხმობა-პირის თანხმობა მისი პირადი ცხოვრების დეტალების გამოქვეყნებაზე;
 - ▲ დასაბუთება-დეტალური დასაბუთება, თუ რატომ უნდა გასაჯაროვდეს პირადი ინფორმაცია;
- 3) საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესი და მედია სამართალი,

როგორც საზოგადოებრივი მხარე უფლებების პასუხისმგებლობის სადარაჯობზე;

4) პირადი ცხოვრების კონკრეტული ასპექტების გასაჯაროების დასაშვებობა;

5) დანაშაულის გაშუქებისა-თემა, რომელიც საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ემსახურება;

6) ზღვარი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასა, ინფორმაციის მიღებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის;

7) სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: მედიის როლი, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა

მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობა და ბარიერები ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში

რევაზ ბერუღავა

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
საბაკადავხო პიოგჩამის სტუდენტი*

ხედმძვანელი – ეკა კავშიდიძე

სამახთლის დოქტორი

თანამედროვე პოლიტიკური სისტემის ცენტრალური ფიგურა მოქალაქეა, რამდენადაც ის აფუძნებს სახელმწიფოს, მონაწილეობს მართვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს მოქალაქის სტატუსს, უფლებებსა და მოვალეობებს, რომლის განხორციელება მას ქვეყნის ტერიტორიაზე შეუძლია. აქტიური მოქალაქეები მოითხოვენ უფრო მეტ გამჭვირვალებას და ანგარიშვალდებულებას ხელისუფლების მხრიდან. ამიტომ, აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ ყველა დონეზე განამტკიცოს დემოკრატიული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მზარდ საჭიროებებს და მოქალაქეებს მისცემს შესაძლებლობას რომ არჩევნების პარალელურად, ჰქონდეთ დამატებითი გზები რათა გადაწყვეტილების მიღებაში, მათი ხმა

იყოს გათვალისწინებებული. წარმომადგენლობითი დემოკრატიის დამკვიდრება მონაწილეობითი და პირდაპირი დემოკრატიით, არის ხარისხიანი მმართველობის მნიშვნელოვანი კომპონენტი. აღსანიშნავია, რომ მართვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე. მონაწილეობის მექანიზმები მოსახლეობასა და ხელისუფლებას აახლოებს, ამასთანავე, საზოგადოებას შესაძლებლობას აძლევს, გავლენა იქონიოს არჩეული ან დანიშნული პირების გადამწყვეტილებებზე, განსაზღვროს პრიორიტეტები, მოითხოვოს ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა. თანამონაწილეობაზე დაფუძნებული მმართველობა ქმნის ინფორმაციის, ცოდნისა და გამოცდილების წყაროს, რაც ხელს უწყობს არსებული რესურსების საჭარო ინტერესების შესაბამისად განკარგვას.

სწორედ, აღნიშნული სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვინაიდან მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი გადამწყვეტილების პროცესში ადგილობრივი დემოკრატიის საფუძველია, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობა, უფრო უშუალო დონეზე ვიდრე ცენტრალური ხელისუფლება, არის ხელისუფლება ხალხისთვის და ხალხის მიერ, ნაშრომში წარმოდგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობები, ასევე გაანალიზებულია აღნიშნულ თემასთან მიმართებაში არსებული სამართლებრივი ბაზა, წარმოდგენილია ჩართულობის დამაბრკოლებელი ბარიერები და რეკომენდაციები. დასკვნის სახით გაანალიზებულია გამონკვევებისა და წარმატებული მაგალითების აღწერა, ვინაიდან უფექტური მმართველობა მიიღწევა სამგანზომილებიანი დინამიკით ადგილობრივ ხელისუფლებას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მოსახლეობას შორის ურთიერთობით. ნაშრომის ფარგლებში მოძიებული წარმატებული პრაქტიკა და მოსახლეობასთან ჩატარებული კვლევა საინტერესო და გამოსადეგი იქნება, სამომავლოდ პრობლემის აღმოფხვრისათვის.

საკვანძო სიტყვები: ადგილობრივი

თვითმმართველობა; მოქალაქეები, ჩართულობა, საკანონმდებლო ბაზა, თანამონაწილეობა

ქორწინების ინსტიტუტის განვითარების გზა ქართულ სამართალში

ნინო მესხი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბაკადავხი, მე-3 კუხსი
ლიკა ფირცხაღალიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბაკადავხი, მე-3 კუხსი

ხელმძღვანელი – გიორგი ღვინთაშვილი
პროფესორი, იუხიდიუდ მეცნიეხებათა დოქტოხი

ქორწინება წარმოადგენდ უძველეს ინსტიტუტს, იმდენად ძველს, რომ შეუძლებელიც კია დაზუსტებით ვთქვათ თუ როდის შედგა პირველი ქორწინება, ზოგადად რა სახის უერთიერთობის მატარებელი იყო ის ან ქორწინება იყო თუ არა ოჯახის შემქნის მიზანი. გვაროვნული წყობილების დაშლამ საფუძველი ჩაუყარა ტერიტორიული თემების გაჩენას, რომელმაც საზოგადოება თანდათან კლასებად დაყო.* ამდენად, სწორედ ეს პერიოდია, როდესა ოჯახი ყალიბდება როგორც მტკიცე ინდივიდთა ერთობლიობა, რომელიც სწორედ, რომ ქორწინებას უკავშირდება. გაჩნდა საკუთრება და მასთან ერთად საკუთრების მემკვიდრეზე გადაცემის მოთხოვნილება.** საზოგადოების განვითარებასთან ეტაპებთან ერთად იცვლებოდა დაყალიბდებოდა ქორწინების ფორმებიც და დროის ცვლილებასთან ერთად ქორწინების ინსტიტუტი სხვადასხვა ფორმით იყო რეგულირებული.

მეცნიერები სხვადასხვა მოსაზრებების მიხედვით გვთავაზობენ ოჯახის უნივერსალურ ცნებას. თუმცა, ცნების შედარებით სრულყოფილი ხასიათის მიუხედავად, ოჯახის ცნება მისი სპეციფიკიდან და სირთულიდან გამომდინარე, ვერასდროს იქნება სრულყოფილი, რადგან იგი ვერ ამოწურავს იმ საკითხებს, რომლის გარეშეც ოჯახის დეფინიცია იქნება უნივერსალური“. პ. სედუგინი ოჯახის ცნებას გან-

* ქახთუდი საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი: 1986, ტომი 10., გვ 550-551.

** Bogucki P., *Enciclopedia of Society and Culture in the Ancient World*. USA: Infobase Publishing. 2008, Vol. 1 pg. 447-460

მარტავს, როგორც პირთა განსაზღვრულ ჯგუფს, რომელიც ეფუძნება ქორწინებას, ნათესაობას, ერთად ცხოვრებას და საერთო მეურნეობის გაძღოლას, მომავალი თაობის აღზრდას და ურთიერთმხარდაჭერას.*

ლუის მორგანი, რომელიც უდიდესი მკვლევარი იყო, ამბობს, რომ „არც ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას არ ჰქონია, ისეთი მდიდარი და შინაარსიანი ისტორია, არც ერთ მათგანს არ განუხორციელებია უფრო ხაგრძლივი და მრავალმხრივი ცვლის შედეგები, როგორც ოჯახს, რომელმაც თანამედროვე სახის მიღებამდე განვითარების დიდი გზა განვლო. ოჯახი აქტიური ელემენტია, რის გამოც არასდროს ის ერთ ადგილზე არაა გაქვავებული, არამედ დაბალი ფორმიდან გადადის უმაღლესში, იმ ზომით, რა ზომითაც საზოგადოება დაბალი საფეხურიდან ვითარდება უმაღლესი საფეხურისკენ“

ამდენად, მოცემებული ნაშრომი მიმოიხილავს ქორწინების ინსტიტუტის ისტორიულ მიმოხილვას დროისა და სივრცის მიხედვით. გარდა ამისა, გამოვარკვევთსწორედ იმ ის მიზნებს, რომელიც ქორწინებაში შესვლას ემსახურებოდა და ვიმსჯელებთ მეუღლეთა პირად და ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებზე. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ძველი ქართული სამართლისა და თანამედროვე ქართული კანონმდებლობის ურთიერთშედარების საფუძველზე გამოარკვიოს თუ რა ცვლილებები განხორციელდა ამ ინსტიტუტში და რა მსგავსებებია ეპოქათა შორის.

მოცემულ ნაშრომში ძირითადად გამოყენებული იქნება ანალიტიკური, ლოგიკური ისტორიული, და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: ქორწინების ინსტიტუტი, ისტორიული მიმოხილვა, შედარებითი ანალიზი, ოჯახი, განვითარება

* *П. Седугина, комментарии к семейному кодексу РФ под обин ред Крашениковаб. М., 1997, С 2*

ოჯახური ცხოვრების პათივისციემის უფლების მნიშვნელოვანი საკითხები ევროსასამართლოს პრაქტიკაში

ედისაბედ ავაქიძე

*თსუ იუხიდიუდი ფაკულტეტის ბაკადაჯიხის მესამე კუხის სტუდენტი
ანა ჩხეიძე*

თსუ იუხიდიუდი ფაკულტეტის ბაკადაჯიხის მესამე კუხის სტუდენტი

ოჯახური ცხოვრება ერთ-ერთია იმ ინტერესებს შორის, რომლებიც დაცულია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით. ოჯახური ცხოვრების კონცეფცია, რომლის განვითარება განაპირობა ცნობიერებითა და სოციალურმა ცვლილებებმა ევროპაში, საკითხთა ფართო წრეს მოიცავს.

წინმდებარე ნაშრომში გაანალიზებული იქნება ოჯახური ცხოვრების პათივისციემის უფლების დაცვის პრობლემური საკითხები, ასვე ევროსასამართლოს და საქართველოს სასამართლო პრაქტიკას აღნიშნულ მუხლთან მიმართებით. განსაკუთრებული ყურადღება კი დაეთმობა აღნიშნული უფლების რეალიზებას ბავშვთან მიმართებაში, რაც, როგორც სხვადასხვა და, მათ შორის, ევროპულ სახელმწიფოთა პრაქტიკა აჩვენებს, განსაკუთრებულ გამოწვევად გვევლინება.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის საყოველთაო პრინციპი ხშირად უგულებელყოფილი ან არასრულფასოვნად იმპლემენტირებულია, რაც არღვევს არა მხოლოდ ბავშვის, არამედ მისი ოჯახის წევრების ოჯახური ცხოვრების უფლებას.

სახელმწიფოს ნეგატიური თუ პოზიტიური ვალდებულებებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის კვალდაკვალ ნაშრომი მკითხველს შესთავაზებს ევროსასამართლოს სახელმძღვანელო პრინციპებსა და სტანდარტებს, რომლებიც, ამ ეტაპზე, მე-8 მუხლით დაცულ საკითხთა წრეს აყალიბებს.

საკვანძო სიტყვები: ოჯახური ცხოვრების
პათივისციემის უფლება, დაცული სფერო, ბავშვის
საუკეთესო ინტერესი, სახელმწიფოს პოზიტიური და
ნეგატიური ვალდებულებები

სასამართლო რეფორმების მდგომარეობა საქართველოში - მიღებული გაკვეთილები

კახა წიქარიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახედმწიფო უნივერსიტეტის
იუხიდიული ფაკულტეტის დოქტოროხანტი,
საქეხთვედოს საზოგადოებხივ საქმეთა პხოფესოხი

დამოუკიდებლობის გამოცხადების დდიდან, საქართველოს სასამართლო სისტემამ განვითარების რთული გზა გაიარა. 1991 წლის შემდეგ საქართველომ მემკვიდრეობით მიიღო საბჭოთა სტილის სასამართლო. პირველი სასამართლო რეფორმა ჩატარდა 1998-1999 წლებში, რომლის დროსაც დაიხვენა სასამართლო ინსტანციები, მიღებული იქნა ახალი საპროცესო კოდექსები, ჩატარდა მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები. მოსამართლეები, რომლებმაც ვერ გაიარეს გამოცდები, გათავისუფლდნენ თანამდებობიდან. ამ რეფორმამ სასამართლოს ახალი სისხლი მოუტანა. თუმცა, სასამართლო სისტემაში მალე კორუფციამ დაისადგურა. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, საქართველოს სასამართლო სისტემაში შემოღებული იქნა მრავალი პოზიტიური ცვლილება, როგორიცაა სისტემური კორუფციის აღმოფხვრა, სათანადო მატერიალური ბაზის შექმნა სასამართლო სისტემის მუშაობისთვის, მოსამართლეთა ხელფასების ზრდა, იუსტიციის უმაღლესი სკოლის შექმნა, საკანონმდებლო ჩარჩოს დახვენა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დანერგვა 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღების შემდეგ. ამასთან, სასამართლო ხელისუფლებას ჰქონდა ძალიან მცირე პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარისხი ჰქონდა და მას მკაცრად აკონტროლებდა აღმასრულებელი ხელისუფლება. ის იქცა ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის განხორციელების და პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ რეპრესიების მექანიზმად. გამამართლებელი განაჩენების პროცენტული მაჩვენებელი ძალიან დაბალი იყო და პროკურატურის მოთხოვნები, როგორც წესი, კმაყოფილდებოდა. 2012 წლის არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა ახალი პარტია - ქართული ოცნება, რომლის ერთ - ერთი მთავარი დაპირება იყო სამართლიანობის აღდგენა და დამოუკიდებელი სასამართლო

სისტემის შექმნა. 2012-2019 წლებში განხორციელდა საკანონმდებლო რეფორმების ოთხი ტალღა. საკანონმდებლო რეფორმებმა მოსამართლეებს მისცეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მათი კოლეგების არჩევის უფლებამოსილება, გაიხსნა სასამართლო პროცესების ტელევიზიისა და მედიისთვის, პარლამენტის წევრები გამოყვანილი იქნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან და ჩანაცვლდნენ სამოქალაქო სექტორის და აკადემიური წრეების წარმომადგენლებით, დაიხვეწა სადისციპლინო პროცედურები, შემოღებული იქნა მოსამართლეთა შერჩევის ახალი კრიტერიუმები და პროცედურები, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევის უფლებამოსილება გადაეცა საქართველოს პრეზიდენტიდან იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, შემოღებული იქნა მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა. მართლმსაჯულებამ ხელისუფლების სხვა შტოებისგან გარკვეული დონის ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას მიაღწია თუმცა სასამართლო სისტემაში კიდევ ერთი პრობლემა გაჩნდა. კერძოდ, ძალაუფლების კონცენტრაცია მოხდა გავლენიანი მოსამართლეების მცირე ჯგუფში, რომლებმაც მხარდაჭერა მიიღეს ქართული ოცნებისგან და ასევე მოსამართლე კოლეგებისგან, მათი გადანიშვნის დაპირებით. გარეშე პირებისათვის ძნელად ხელმისაწვდომი გახდა მოსამართლეთა ვაკანსიები. მოსამართლეთა სიმცირის გამო, სასამართლოებმა დაგროვდა საქმეები და გაჭიანურებული პროცესები გახშირდა. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეები, როგორც წესი, საქმეების განხილვისას უფრო დამოუკიდებლები არიან, ვიდრე 2012 წლამდე, ფართო საზოგადოებაში არ არსებობს განცდა რომ სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებლად მოქმედებს გახმაურებულ საქმეებზე ან პოლიტიკურ მგრძობელობის საქმეებზე. მართლმსაჯულებისადმი ნდობის ნაკლებობა გახდა საქართველოში პოლიტიკური კრიზისის ერთ – ერთი მიზეზი 2020-2021 წლებში, რომელიც წარმართა ოპოზიციის მიერ პარლამენტის ბოიკოტის ფონზე და საბოლოოდ ევროკავშირის შუამავლობით მიღწეული პოლიტიკური შეთანხმებით დასრულდა. შეთანხმება ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნდამენტურ რეფორმას და მოსამართლეთა შერჩევის / დანიშვნის პროცედურების გაუმჯობესებას. ამრიგად, საქართველოში, ისევე როგორც საერთაშორისო საზოგადოებაში, პოლიტიკურ კლასში მოხდა შეთანხმება იმაზე, რომ ქართული სასამართლო სისტემა კვლავ მნიშვნელოვან რეფორმებს საჭიროებს.

სტომატოლოგია, ფარმაცია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

კოლხეთის დაბლობი – მალარიის სახლი

შორენა კუპარიშვილი¹, კაკაბა სიჭინავა¹, თამრიკო სუპატაშვილი²,
გიორგი კუპატაძე³, ქეთევან ქუხიძე³

¹ საქართველოს გექნიკური უნივერსიტეტის ც. მიხცხუდავას სახელობის
წყაღთა მეუხნეობის ინსტიტუტი

0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 60 ბ, ქ. თბილისი, საქართველო

² საქართველოს უნივერსიტეტი, 0171, საქართველო, თბილისი, კოსტავას 77,
ქ. თბილისი, საქართველო

³ საქართველოს გექნიკური უნივერსიტეტი, სამშენებლო ფაკულტეტი,
ბაკადავჩიატის სტუდენტი,

0171, საქართველო, თბილისი, კოსტავას 68, ქ. თბილისი, საქართველო

sh.kupreishvili@gtu.ge; p.sichinava@gmail.com; t.supatashvili@ug.edu.ge;
kupatadze.g1@gtu.ge; ketikukhilava88@gmail.com

მალარია ძველი დროიდან ფართოდ იყო გავცელებული საქართველოში, იგი იწვევდა მალალ სიკვდილიანობას და უზარმაზარ ეკონომიურ დანაკარგებს. გასული საუკუნის 1920-იან წლებში მოსახლეობის დაახლოებით 30% იყო დაავადებული მალარიით კოლხეთის დაბლობსა და ალაზნის ველზე.

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში მალარიასთან ბრძოლა დაიწყო, უფრო ზუსტად კი მალარიის კოლოსთან. თბილი და ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი შესანიშნავად უწყობდა ხელს მათ გამრავლებას. სახელმწიფომ მეცნიერებთან ერთად მალარიის კოლოსთან ბრძოლა ყველა შესაძლო ხერხით დაიწყო. მთავარ მტრად ქაობები გამოცხადდა.

დადგენილია, რომ უხვი ნალექები, ვაკე-დაცემული რელიეფის პირობები ხელს უწყობს ქარბტენიანობის შექმნას ნიადაგში. მცენარის ზრდა-განვითარებისათვის ასეთი უარყოფითი პირობების გაუმჯობესებას ვერ ახდენს დაბლობის ცენტრალურ ნაწილში არსებული დამშრობი ქსელი. გარდა არასწორი ექსპლუატაციისა, მისი დაბალი

ეფექტი იმითაც აიხსნება, რომ დაპროექტების დროს მხედველობაში არ ყოფილა მიღებული ცალკეული მელიორაციული რაიონის ნიადაგ-გრუნტების თვისებები. სავსებით მართებულია ამჟამად მტკიცედ დამკვიდრებული დებულება, რომ ნიადაგის წყალ-ჰაეროვან რეჟიმზე სათანადო მაჩვენებლების რაოდენობრივი ზუსტი წარმოდგენის გარეშე, არათუ შეუძლებელი, არამედ დაუშვებელიცაა კონკრეტულ პირობებში საჭირო მელიორაციულ ღონისძიებათა ჩატარება.

შესასწავლია დრენაჟის ტიპის და კონსტრუქციის მეცნიერული დასაბუთება და პარამეტრების გაანგარიშების მეთოდის სრულყოფა, რომელშიც უფრო სრულად იქნება გათვალისწინებული დასაშრობი ტერიტორიის ბუნებრივი პირობები, ქარბტენიანობის წარმოქმნის მიზეზები და მათი აღმოფხვრის ხერხები.

საკვანძო სიტყვები: მალარია, კოლხეთის დაბლობი, ქარბტენიანი ნიადაგი, დრენაჟი

ჰემოფილია და სტომატოლოგია

ნინო შოქაძე

*თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტი
სტომატოლოგიის ფაკულტეტი*

ხელმძღვანელი – ი. ხაჩიაშვილი

*თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი,
ბიოლოგიის დოქტორი*

ჰემოფილია წარმოადგენს სისხლის მძიმე, თანდაყოლილ და განუკურნებელ დაავადებას, რომელიც სიცოცხლის მანძილზე პერიოდულად საჭიროებს ანტიჰემოფილურ პრეპარატების გადასხმას. ჰემოფილია მამაკაცების დაავადებაა, რომლებიც დედისაგან იღებენ პათოლოგიურ X-ქრომოსომას. ჰემოფილიას ახასიათებს ჰემატომური ტიპის სისხლდენა. სისხლდენებისადმი მიდრეკილება განპირობებულია სისხლის შედედების შიდა სისტემაში თრომბოპლასტინის

ნარმოქმნის პროცესის დარღვევით, რაც დაკავშირებულია ანტიჰემოფილური გლობულინის დეფიციტთან. გამოყოფენ ჰემოფილიის სამ ფორმას – A, B და C. A ჰემოფილიის დროს არა გვაქვს სისხლის შედედების VIII ფაქტორი, ჰემოფილია B-ს დროს – IX ფაქტორი, ხოლო C ჰემოფილიის დროს – XI ფაქტორი.

კბილის ამოღებას, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ოპერაციას, თან სდევს სისხლდენა, რომელიც, ჩვეულებრივ, კბილის ამოღებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ქრილობის სისხლდარღვევაში კოლტის წარმოქმნის შედეგად წყდება. კბილის ამოღებისას ძლიერი სისხლდენა მსხვილი სისხლდარღვევის ძლიერი ტრავმით და მისი დაზიანებით არის განპირობებული. ზოგჯერ ანესთეზიისთვის გამოყენებული ადრენალინი თავდაპირველად ავიწროებს ქრილობის არტერიოლებს, 1-2 საათის შემდეგ კი აფართოებს სისხლდარღვევებს და მეორეულ სისხლდენას იწვევს. ხდება ისეც, რომ სისხლდენა კბილის ამოღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ იწყება, რაც ქრილობის ინფიცირების მანიშნებელია.

ჰემოფილიური სისხლდენის მკურნალობის ძირითადი მეთოდი დეფიციტური (VIII ან IX) ფაქტორით ჩანაცვლებითი თერაპიაა. მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში, ასევე – საქართველოშიც, ფართოდ გამოიყენება ფაქტორ-კონცენტრატები, ასე რომ, ურგენტულ შემთხვევაში პაციენტის დახმარება შესაძლებელია. რაც შეეხება პროფილაქტიკის მიზნით ფაქტორ-კონცენტრატების შეყვანას, მათი სიმცირისა და სიძვირის გამო ჩვენში ასეთი პრაქტიკა დანერგული არ არის, თუმცა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ბავშვებს უტარდებათ პროფილაქტიკური ინფუზიები, რაც მინიმუმამდე ამცირებს ინვალიდების რაოდენობასა და ინვალიდობის ხარისხს.

საკვანძო სიტყვები: ჰემოფილია, გენეტიკა, გლობულინი, ფაქტორ-კონცენტრატი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *Guidelines for the Management of Hemophilia World Federation of Hemophilia, 2005.*
2. *Berntorp E. Hemophilia Malmo, September 2004.*
3. *ჰემოფიდიის კომპლექსური მართვა – ნაციონალური გაიდლაინი შემდგენელი; მ. აბაშიძე თბილისი, 2007.*

სოიოს ექსტრაქტები სამედიცინო და კოსმეტოლოგიურ პრაქტიკაში

მარიამ ღაზარაშვილი

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

მანანა ორჭონიკიძე

თსსუ, ი. ქუთათედაძის ფაჩმაკოქიმიის ინსტიტუტი

სოიო (Glycine) ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა პარკოსანთა ოჯახიდან, რომელიც მოიცავს რამდენიმე ათეულ სახეობას. იყოფა 4 ქვესახეობად: კორეული, მანჯურიული, ჩინური და ინდური. მისი სიმაღლე 0,2-2 მეტრამდე აღწევს. სოიო ტენისა და სინათლის მოყვარულია, კარგად იზრდება სხვადასხვა ტიპის ნიადაგზე. სოიოს სამშობლო აღმოსავლეთ აზიაა. პირველი ქვეყანა, სადაც სოიოს კულტივირება დაიწყო იყო ჩინეთი. შემდგომ გავრცელდა კორეაში, ხოლო 1740 წლიდან – ევროპაში [1].



სურათი 1. მცენარე სოიო

საქართველოში სოიო XX საუკუნის დასაწყისში, რუსეთ-იაპონიის ომის დროს შემოვიდა და იმთავითვე პოპულარული გახდა მეცხოველეობაში. XX საუკუნის მეორე ნახევარში ეს კულტურა ჩვენს ქვეყანაში 20 000 ჰექტარზე ითესებოდა. დღეისათვის სოიოს კულტივირება შეწყვეტილია, და მცირე ფერმებში, მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის ხორციელდება. ქართული ჯიშებიდან მნიშვნელოვანია იმე-

